დედოფლისწყარო
დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

# შირაქი

SHIRAKI
www.opentext.ge
გამოდის 1937 წლიდან

№34 (9.550)
14 სექტემბერი 2012 წელი
ფასი: 50 თეთრი
ყოველკვირეული გამოცემა

# ... როცა ბუნება გიხმობს

მსოფლიოში მიმდინარე გლობალური დათბობის შედეგად გამოწვეული კლიმატური ცვლილებები დედოფლისწყაროს არცთუ სახარბიელო პერსპექტივას უსახავს. ბოლო დროს ხშირად საუბრობენ ჩვენი რაიონის შესაძლო გაუდაბნოების საფრთხეზე. უდაბნოს ავბედითი მირაჟის აცილება კი მხოლოდ ბუნებისადმი სწორი, და არა მტაცებლური, დამოკიდებულებითაა შესაძლებელი.



14 სექტემბერს დედოფლისწყაროში, ე. წ. ქოჩების ტბის ტერიტორიაზე დასუფთავების აქცია ჩატარდა, რომელშიც ორგანიზაცია „მწვანეთა მოძრაობა-დედამიწის მეგობრები - საქართველო“ - სთან ერთად დედოფლისწყაროელი ახალგაზრდები, კერძოდ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ახალგაზრდული ფრთის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. მათ დაასუფთავეს ტბის მიმდებარე ტერიტორია და შეგროვილი ნაგავი დასუფთავების სამსახურის „შპს-2007“-ის მანქანით გაიტანეს.“ აქციამ - „დავასუფთაოთ მსოფლიო, დავასუფთაოთ საქართველო“ ტრადიციული სახე მიიღო და ის ყოველწლიურად იმართება სექტემბერში და ემთხვევა კვირის სამ დღეს: პარასკევს, შაბათს და კვირას.დასუფთავების აქცია შვედეთის განვითარების ფონდის „SIDA” და გარემოს დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით იმართება. რადგან აქციის სახელწოდებაა „დავასუფთაოთ მსოფლიო“, ამიტომ მთელი საქართველოს მასშტაბით ყველა ქალაქსა და სოფელში ტარდება დასუფთავების აქცია. რაც შეეხება ახალგაზრდების მონაწილეობას ამ აქციაში, აუცილებლად მიმაჩნია, რადგან სწორედ მათ უნდა გადაარჩინონ ჩვენი ქვეყნის ბუნება კლიმატური ცვლილებების ფონზე და გადასცენ მომავალ თაობას ბუნების სიყვარულიც და მისი მოფრთხილების აუცილებლობაც“- განაცხადა გაზეთ „შირაქთან“ საუბრისას „მწვანეთა მოძრაობა - დედამიწის მეგობრები - საქართველო“-ს დედოფლისწყაროს კოორდინატორმა ირმა რობიტაშვილმა.

ამ დღესვე დასუფთავების აქცია ჩატარდა დედოფლისწყაროს ყველა სოფელში, რომლის ორგანიზებაც დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობამ „მწვანეთა მოძრაობა - დედამიწის მეგობრები - საქართველო“ -სთან ერთად უზრუნველყო. აქციის ყველა მონაწილეს დაურიგდა მაისური, ხელთათმანი და ერთჯერადი პოლიეთილენის პარკი. შეგახსენებთ, რომ საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები-საქართველო - წარმოადგენს არასამთავრობო ორგანიზაციას, რომელიც მდგრადი განვითარების პრინციპებიდან გამომდინარე, მიზნად ისახავს ჰუმანიტარული და ეთნოკულტურული გარემოს დაცვას, ბრძოლას ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის. ეკოლოგიური ცოდნის პროპაგანდას და ცნობიერების ამაღლებას საზოგადოების ფართო ფენებში. ბუნებისადმი ტექნოკრატიული მომხმარებლური დამოკიდებულების აღმოფხვრას, ეკოლოგიურად უსაფრთხო ტექნოლოგიების დანერგვას, საზოგადოებრივი თვალსაზრისით მდგრადი საზოგადოების ფორმირებას.

ინგა შიოლაშვილი

## პოლიტიკა და ქართველი ქალი




## ახალი გასართობი ცენტრი - პატარებს




## ყურადღება!

საქართველოს საარჩევნო კოდექსის მუხლი 50.2-4-ით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად, წინასაარჩევნო კამპანიის ფარგლებში, გაზეთი „შირაქი“ ყველა საარჩევნო სუბიექტს დაუთმობს საგაზეთო ფართს პოლიტიკური რეკლამისათვის. 1 ოქტომბრამდე გაზეთი „შირაქი“ ყოველკვირეულად, თითოეულ ნომერში საპარლამენტო არჩევნებში მონაწილე საარჩევნო პარტიებსა და კანდიდატებს გაზეთის ფართს დაუთმობს, რომელიც განკუთვნილი იქნება ფასიანი პოლიტიკური რეკლამისთვის და თანაბრად გადანაწილდება ყველა საარჩევნო სუბიექტზე. ფასიანი პოლიტიკური რეკლამისთვის გამოყოფილი გაზეთის ერთი გვერდის ფასი კი 150 ლარით განისაზღვრება.

**ყველაზე სანდო წყარო დედოფლისწყაროში მიმდინარე მოვლენების შესახებ!**

- ალი ინფორმაცია
- ართლებრივი აქტები
- ქციონი
- ნდერი – ყველაფერი

მხოლოდ ჩვენთან!

ის, რასაც სხვაგან ვერ წაიკითხავთ!

www.dedoplistskaro.ge

C M Y K

## რეაბილიტირებული თელავის და ყვარლის პრეზენტაცია 15-16 სექტემბერს გაიმართება

რეაბილიტირებული თელავის პრეზენტაცია 15 სექტემბერს გაიმართება. პრეზენტაციას საქართველოს პრეზიდენტი დაესწრება. თელავის მუნიციპალიტეტის გამგებლის ნუგზარ ხუცაიძის განცხადებით, საზეიმო ღონისძიებები 12:00 საათიდან დაიწყება და 19:30 საათზე „ჯიფსი კინგის“ კონცერტით დასრულდება.

„ძალიან ბევრი ღონისძიებაა დაგეგმილი, 12:00 საათზე ჩოლოყაშვილის ქუჩიდან დაიწყება და თითქმის ყველა ქუჩაზე იქნება სხვადასხვა ღონისძიება. დღის ბოლოს „ჯიფსი კინგის“ კონცერტიც გაიმართება,“ - განუცხადა კახეთის საინფორმაციო ცენტრს ნუგზარ ხუცაიძემ.

12:00 საათზე გაიხსნება რეაბილიტირებული „ნადიკვარის პარკიც“, სადაც საცირკო წარმოდგენა და ბავშვებისთვის სხვადასხვა ღონისძიებები გაიმართება. 15 სექტემბერს პარკში ატრაქციონები უფასო იქნება.

თელავში სარეაბილიტაციო სამუშაოები 2012 წლის მარტში დაიწყო.

16 სექტემბერს, ყვარელში, გამგეობის მიმდებარე ტერიტორიაზე მთელი დღის განმავლობაში სხვადასხვა ღონისძიებები და თეატრალიზებული წარმოდგენები გაიმართება. 19:00 საათზე კი ყვარლის განახლებულ ციხეში სუხიშვილების ანსამბლი და გიორგი უშიკიშვილის გუნდი „ლაშარი“ კონცერტს გამართავს.

## სახელმძღვანელოები მხოლოდ №1 საჯარო სკოლაში გაიყიდება

ახალი სასწავლო წლისთვის სახელმძღვანელოების შეძენა ზოგიერთ სკოლებში იქნება შესაძლებელი. სასკოლო წიგნები12 სექტემბრიდან კახეთის რეგიონის 14 სკოლაში გაიყიდება. მისი გაყიდვა10 სექტემბრიდან 8 ოქტომბრის ჩათვლით იწარმოებს.

როგორც განათლების სამინისტროში აცხადებენ, სკოლებში სახელმძღვანელოები ისე გადანაწილდება, რომ წიგნების შეძენას მომიჯნავე სკოლების მოსწავლეებიც შეძლებენ. წიგნები ასევე გაიყიდება სავაჭრო წერტილებში და მისი მაქსიმალური ფასი 10 ლარი იქნება.

სამინისტროს ინფორმაციით, სასკოლო სახელმძღვანელოები შემდეგ საგანმანათლებლო დაწესებულებებში გაიყიდება: დედოფლისწყაროში მხოლოდ ქალაქ დედოფლისწყაროს №1 საჯარო სკოლაში, თელავში - ქალაქ თელავის №4 საჯარო სკოლაში და - ქალაქ თელავის №7 საჯარო სკოლაში; ყვარელში - ილია ჭავჭავაძის სახელობის ყვარლის №1 საჯარო სკოლაში და სოფელ ახალსოფლის №1 საჯარო სკოლაში; ლაგოდეხში - ქალაქ ლაგოდეხის №1 საჯარო სკოლაში და სოფელ აფენის №1 საჯარო სკოლაში; სიღნაღში - ქალაქ წნორის №3 საჯარო სკოლაში; საგარეჯოში - ქალაქ საგარეჯოს №1 საჯარო სკოლაში და სოფელ დუზაგრამის საჯარო სკოლაში; გურჯაანის მუნიციპალიტეტში ქალაქ გურჯაანის №1 საჯარო სკოლაში და სოფელ ბაკურციხის საჯარო სკოლაში; ახმეტაში - ქალაქ ახმეტის №2 საჯარო სკოლაში და სოფელ დუისის საჯარო სკოლაში;გურჯაანის მუნიციპალიტეტში ქალაქ გურჯაანის №1 საჯარო სკოლაში და სოფელ ბაკურციხის საჯარო სკოლაში; ახმეტაში - ქალაქ ახმეტის №2 საჯარო სკოლაში და სოფელ დუისის საჯარო სკოლაში;

სასკოლო სახელმძღვანელოებს უფასოდ მიიღებენ: სოციალურად დაუცველი ოჯახების წევრები და იმ ოჯახების მოსწავლეები, სადაც ერთდროულად სამი ან მეტი და-ძმა სწავლობს სკოლაში.

## ნეტბუკები 41 272 პირველკლასელს და 3 078 დამრიგებელს გადაეცემა



2012-2013 სასწავლო წლისათვის საქართველოს სკოლებისთვის შექმნილი ნეტ-ბუკები 41 272 პირველკლასელს და მათ 3078 დამრიგებელს საჩუქრად გადაეცემათ. თბილისისა და რეგიონების საჯარო სკოლებისთვის კომპიუტერების გადაცემის პროცესი სრულდება. კომპიუტერების დისტრიბუციას საქართველოს ფოსტა უზრუნველყოფს. „ბუკები“ კომპანიების "ალგორითმი" და "ინტელის" მიერ საქართველოში დამზადდა.

კომპანია "ალგორითმიდან" ნეტ-ბუკები თბილისის საჯარო სკოლებისთვის გაიგზავნა. 17 სექტემბერს ყველა პირველკლასელს „ბუკი“ სკოლაში დახვდება. პროექტი მეორე წელია მიმდინარეობს, კომპიუტერიზაციის სამყაროში მოზარდების სწორი განვითარებისა და მომავალში საზოგადოების სრულფასოვან წევრად ჩამოყალიბებისათვის აუცილებელია ბავშვს თავიდანვე ჰქონდეს ურთიერთობა თანამედროვე ტექნოლოგიებთან. სწორედ ამ მიზნით, საქართველოს პრეზიდენტის ინიციატივით, საერთაშორისო ექსპერტების რეკომენდაციების საფუძველზე შეიქმნა ნეტ-ბუკი "ბუკი". ნეტბუკებში ჩატვირთულია ეროვნულ სასწავლო გეგმასთან შესაბამისობაში მყოფი სასკოლო პროგრამები, ბავშვებისთვის შექმნილი შემეცნებითი თამაშები და რაც ასევე მნიშვნელოვანია, ხელმისაწვდომია ინტერნეტი.

სასწავლო პროცესში ნეტ-ბუკების ეფექტურად გამოყენების უზრუნველსაყოფად, სამინისტრომ ყველა პირველი კლასის დამრიგებელი ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებში გადაამზადა. მასწავლებლები ნეტ-ბუკების ფიზიკურ სტრუქტურასა და მასთან მუშაობას გაეცნენ, ასევე ისწავლეს ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით (ისტ) გამდიდრებული გაკვეთილისა და სასწავლო პროექტების მომზადება.

საქართველოს მასშტაბით ყველა საჯარო სკოლა ინტერნეტიზებულია, აქედან გამომდინარე, ახალი სასწავლო წლიდან ნეტ-ბუკები სახელმძღვანელოებთან ერთად, პირველკლასელთათვის ინფორმაციის მიღების კიდევ ერთი უნიკალური საშუალებაა.

## ჯვრის მონასტერთან დაკავშირებული საკითხი საქართველოსა და საბერძნეთს შორის უნდა გადაწყდეს - ისრაელის ელჩი

ისრაელის ახალი ელჩი საქართველოში, იუვალ ფუქსი აცხადებს, რომ იერუსალიმის ჯვრის მონასტერთან დაკავშირებული საკითხი საქართველოსა და საბერძნეთს შორის უნდა გადაწყდეს. როგორც მან საელჩოში დღეს გამართულ გაცნობით პრესკონფერენციაზე განაცხადა, ამ საკითხის შესახებ ისრაელში ქართველი ოფიციალური პირების ვიზიტების დროს გახდა ცნობილი.

"მათ კარგად იციან, რომ რაღაც პერიოდის განმავლობაში ეს მონასტერი საბერძნეთს ეკუთვნის. შესაბამისად, აქედან გამომდინარე, ჩვენ ვიყავით იმაზე ინფორმირებულნი, რომ საქართველო მოლაპარაკებას საბერძნეთთან აპირებს. ესაა საკითხი, რომელიც საქართველოსა და საბერძნეთს შორის უნდა გადაწყდეს", -- განაცხადა იუვალ ფუქსმა და დასძინა, რომ ეს მონასტერი არის ისრაელის ტერიტორიაზე.

შეგახსენებთ, რომ იერუსალიმის ჯვრის მონასტრის საქართველოსათვის დაბრუნებაზე საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა მიმდინარე წლის 25 თებერვალს გორში, თავდაცვის ეროვნულ აკადემიაში სიტყვით გამოსვლისას ისაუბრა. როგორც სააკაშვილმა მაშინ აღნიშნა, "უნდა დადგეს საკითხი, რომ ჯვრის მონასტერი დაუბრუნდეს საქართველოს და ქართულ ეკლესიას. იქ ისევ აღევლინოს ქართულად ლოცვა. ის იყოს საქართველოს ეკლესიის, ქართული კულტურის შემადგენელი ნაწილი, როგორც იყო საუკუნეების განმავლობაში".

პრეზიდენტმა ასევე განაცხადა, რომ ჯვრის მონასტერში დაცული ქართული სიწმინდეების დაბრუნების საკითხი მან 2006 წელს, იერუსალიმში პირველი ვიზიტისას დასვა.

## რადიო „ჰერეთის“ დირექტორად მფლობელის ძმა დაინიშნა

რადიო „ჰერეთის“ დირექტორად 13 სექტემბერს თამაზ სამხარაძე დაინიშნა, რომელიც რადიოს 100%-იანი წილის მფლობელის და ყოფილი დირექტორის რამაზ სამხარაძის ძმაა. რამაზ სამხარაძემ გუშინ განაცხადა, რომ სამუშაოდ ტელეკომპანია „მეცხრე არხზე“ გადავიდა. ის თოქ-შოუების დეპარტამენტის ხელმძღვანელად დაინიშნა.

„ჰერეთი“ ავრცელებს ინფორმაციას, რომ რამაზ სამხარაძემ ასევე დატოვა „საქართველოს რეგიონულ რადიოსადგურთა ქსელის“ თავმჯდომარის თანამდებობა. რეგიონულ რადიოსადგურთა ქსელი რამდენიმე რადიოსადგურს აერთიანებს.

## სწავლა — ყველასთვის ხელმისაწვდომი?

17 სექტემბერს სწავლა იწყება საქართველოს როგორც ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში, ასევე უმაღლეს სასწავლებლებშიც. სასკოლო სახელმძღვანელოების სიძვირესთან ერთად ქართველი სტუდენტებისა და მათი მშობლების წინაშე სწავლის მაღალი საფასურის გადახდის პრობლემაც დგას.

დედოფლისწყაროელი სტუდენტების მშობლები უმაღლესი სასწავლებლების მაღალ ფასზე ერთხმად საუბრობენ და გულისტკივილით ამბობენ, რომ შვილების გასტუდენტებით გამოწვეულ სიხარულს ერთგვარი შიშიც უფერებენ, რადგან ბავშვების სწავლის საფასურის გადახდა და მათი თბილისში „შენახვა“ სერიოზულ ფინანსურ უზრუნველყოფას მოითხოვს. მშობლები იმის ალბათობასაც არ გამორიცხავენ, რომ შესაძლოა, ზოგიერთის შვილმა უმაღლესი სასწავლებლის დამთავრება უსახსრობის გამო ვერ შეძლოს. არსებობენ ბედნიერი გამონაკლისებიც, რომელთა შვილებმაც სახელმწიფო დაფინანსება მოიპოვეს და მშობლები გადასახადისგან იხსნეს, თუმცა, ესეც იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტი სახელმწიფო სასწავლებელში მოხვდა.მაინც რა ღირს სწავლა საქართველოს უმაღლეს სასაწავლებლებში?

თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახ. უნივერსიტეტში, ილიას უნივერსიტეტში, თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახ. კონსერვატორიაში, შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახ. უნივერსიტეტში, აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სამხატვრო აკადემიაში, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში, იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში სწავლის წლიური საფასური 2 250 ლარია. რაც შეეხება კერძო უმაღლეს სასწავლებლებს, აქ სწავლის საფასური 3000—დან 14 000 ლარამდე მერყეობს.

უნდა იყოს თუ არა სწავლა უმაღლეს სასწავლებლებში ფასიანი - ეს საკითხი ევროპის რიგ ქვეყნებში, მათ შორის, გერმანიაშიც საკმაოდ მწვავე პოლიტიკური თემაა, რადგან ის ერთ მნიშვნელოვან პრობლემატურ კითხვას ბადებს: არის თუ არა ფასიანი სწავლა ყველასათვის ხელმისაწვდომი?

მაშინ, როცა გერმანიის უმაღლეს სასწავლებლებში პრაქტიკულად უფასო იყო სწავლა, სტუდენტები მხოლოდ სემესტრულ გადასახადებს იხდიდნენ. სემესტრული გადასახადი კი ყველა უნივერსიტეტში განსხვავებული იყო (დაახლოებით 200-300 ევრომდე). სემესტრული გადასახადი, რომელიც გერმანიის უნივერსიტეტებში დღესაც არსებობს, სავალდებულოა და, შესაბამისად, აღნიშნულ გადასახადს ყველა სტუდენტი იხდის. ამ გადასახადში შედის უნივერსიტეტში ბიბლიოთეკის, ინტერნეტის თუ სხვა საჭირო რესურსის გამოყენების საფასური; გერმანიის თითქმის ყველა უნივერსიტეტში ეს გადასახადი ფარავს სტუდენტის გადაადგილება-მგზავრობის ღირებულებასაც. ეს კი იმას გულისხმობს, რომ ამ გადასახადის გადახდის შემთხვევაში სტუდენტს შეუძლია საჯარო ტრანსპორტით უფასოდ ისარგებლოს.

დაახლოებით 2007/2008 წლის ზამთრის სემესტრიდან გერმანიის ბევრ ფედერაციულ მიწაზე სწავლა ფასიანი გახდა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ სემესტრული გადასახადის გარდა, სტუდენტებმა უნდა გადაიხადოს სემესტრში დამატებით 500 ევრო. ამ გადასახადის შემოღების მიზანი სწავლის დონის გაუმჯობესებაა (მაგალითად, მეტი პროფესორ-მასწავლებლის მოწვევა, უნივერსიტეტის ახალი ინვენტარითა და თანამედროვე ტექნიკით აღჭურვა). ფასიანი სწავლა შემოღებული იქნა ბავარიაში, ბადენ-ვურთემბერგში, ნიდერზაქსენში, ჰამბურგში და ა. შ. თუმცა არსებობს შეღავათები სტუდენტების გარკვეული ნაწილისთვის, მაგალითად, ისეთებისთვის, რომელთაც მცირეწლოვანი შვილები ჰყავთ, ასევე ინვალიდებისთვის და ა.შ.

სწავლა ფასიანი გახდა 2007/2008 წლის ზამთრის სემესტრიდან ჰესენში და ზაარლანდშიც, რამაც სტუდენტების საშინელი უკმაყოფილება გამოიწვია. ხანგრძლივი პროტესტების შედეგად ჰესენის პარლამენტი იძულებული გახდა, 2008/2009 წლის ზამთრის სემესტრიდან სავარაუდოდ 2014 წლამდე სწავლის გადასახადი (500 ევრო) გაეუქმებინა. ზაარლანდში იგივე ნაბიჯი უფრო მოგვიანებით გადაიდგა და 2010 წლის ზაფხულის სემესტრიდან სწავლა უფასოა.

სავარაუდოდ, უფასო სწავლა იმ ფედერაციულ მიწებზე, სადაც ჯერ კიდევ უფასოა, დიდხანს ვერ შენარჩუნდება, რადგან უნივერსიტეტებში სტუდენტების რაოდენობა იზრდება, სახელმწიფოსთვის კი მათი დაფინანსება რთულდება. ასე რომ, გერმანიაში თითქმის ყველა შეეგუა იმას, რომ უფასო სწავლის სიამოვნება მხოლოდ დროებითია და დიდხანს აღარ გაგრძელდება.

უპასუხებენ თუ არა ფასიან სწავლის შემოღებას გერმანელი სტუდენტები კვლავ საპროტესტო გამოსვლებით - ამის განსაზღვრა წინასწარ ძნელია, თუმცა ფაქტია ის, რომ საქართველოში სწავლის მოსურნეთა კატასტროფული სიმცირის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი სწავლის გაძვირებაა. ამ ფაქტორზე ფაქტები თვითონ მეტყველებენ — ახლახან, ეროვნული გამოცდების დასრულების შემდეგ, საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში კვლავ უამრავი ვაკანსია დარჩა. მათი შევსების მიზნით განათლების სამინისტრომ უკვე გაუქმებული მეორადი ჩარიცხვების სისტემა კვლავ აამოქმედა. ამით ამჯერად ორი კურდღლის დაჭერა მოხერხდა— უმაღლესი სასწავლებლების ვაკანსიებიც შეივსო და გარეთ დარჩენილ აბიტურიენტთა გულის მოგებაც იოლად მოხდა. თუმცა, როგორც გაირკვა, მეტი თავისუფალი ადგილი იმ უმაღლეს სასწავლებლებში დარჩა, სადაც სწავლის გადასახადი საკმაოდ მაღალია. ასე რომ, იმ აბიტურიენტებს, რომელთა მშობლებსაც ეკონომიურად უჭირთ, ნამდვილად არ გაუმართლათ.

ექსპერტები განათლების საკითხებში თვლიან: "აბიტურიენტთა სიმცირე იმან გამოიწვია, რომ სახელმწიფო მათთვის ძალიან მცირე ოდენობის გრანტს გამოყოფს. ანუ გრანტს იღებს ძალიან მცირე რაოდენობა სტუდენტებისა, ძალიან ბევრს კი არ აქვს იმის საშუალება, სწავლის ფული საკუთარი ჯიბით დაფაროს. მით უმეტეს, რომ წლიდან წლამდე სწავლის საფასური იზრდება. ჩემი აზრით, სახელმწიფომ უფრო მეტი ოდენობის დაფინანსება უნდა გამოყოს. ანუ რომ ამბობენ, თუკი ვინმე მართლა სწავლობს და კარგად არის მომზადებული, აუცილებლად გამოჰკრავს ხელს დაფინანსებას და შესაბამისად, ნიჭიერი არ დაიჩაგრება, ეს მთლად ასე არ არის, რადგან ზოგიერთ სპეციალობას არანაირად არ ჰყოფნის საგრანტო თანხა."

სამწუხაროდ, საქართველოში განათლების მიღების საკითხი კვლავ გარკვეულ პრობლემებთანაა დაკავშირებული. ჩვენს ქვეყანაში კვლავ არ არსებობს მუდმივი სტუდენტური სამუშაოები, რითიც სტუდენტები საკუთარი თავის დაფინანსებას შეძლებენ. სახელმწიფოს ინიციატივა საზაფხულო დასაქმების პროგრამის თაობაზე მისასალმებელია, მაგრამ ამინდს ვერ ქმნის, რადგან ყველა სტუდენტი ვერ სარგებლობს აღნიშნული პროგრამით. ამიტომ, საქართველოს სტუდენტებში და მათ მშობლებში კვლავ აქტუალურია კითხვა— უნდა იყოს თუ არა სწავლა ფასიანი?

ინგა შიოლაშვილი

# "ჩვენი ეს ნაბიჯი ხელს შეუწყობს ბუნების გაჯანსაღებას"...



„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ დედოფლისწყაროს რაიონული ორგანიზაციის ახალგაზრდული ფრთის აქტივისტებმა 14 სექტემბერს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ხეების შეთეთრების მასშტაბური აქცია გამართეს.

„შირაქის“ ინფორმაციით, მმართველი გუნდის ადგილობრივმა აქტივისტებმა დედოფლისწყაროს შესასვლელში მდებარე ხეებისა და მწვანე ნარგავების გაჯანსაღებაზე იზრუნეს.

აქციაში 50-ზე მეტი მოზარდი მონაწილეობდა. ახალგაზრდები ხეების კირით შეთეთრებას მთელი დღის განმავლობაში ახდენდნენ. მათ ირაკლი ხოსროშვილი ხელმძღვანელობდა.

„ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია, რომ ჩვენი რაიონის სილამაზეზე ვიზრუნოთ. განსაკუთრებით კი მწვანე ნარგავებს უნდა მოვუაროთ. როგორც ცნობილია, დედოფლისწყარო გაუდაბნოებისკენ ყველაზე მეტად მიდრეკილი რაიონია. გაეროს ექსპერტებიც აცხადებენ, რომ აქ ლანდშაფტის დეგრადირება შეინიშნება. ამ მხრივ ჩვენს რაიონს დახმარება ესაჭიროება. ამიტომ, მნიშვნელოვანია, შევინარჩუნოთ არსებული ხის ჯიშები. ამ მიზნით, დედოფლისწყაროში მცხოვრებმა ახალგაზრდებმა გადავწყვიტეთ, რომ ჩვენი წვლილი შეგვეტანა, ერთი დღე მთლიანად ამ საკითხისთვის მიგვეძღვნა და რაიონის შემოსასვლელში მდებარე ხეივანში არსებული ნარგავების გაჯანსაღებისთვის სპეციალური აქცია მიგვეძღვნა. ნაციონალური მოძრაობის ახალგაზრდული ფრთის წევრები შევიკრიბეთ და მთელი ენთუზიაზმით ხეები შევათეთრეთ, რომ ისინი დაცული იყოს მავნებლებისგან. ჩვენი ეს ნაბიჯი ხელს შეუწყობს ბუნების გაჯანსაღებას. უნდა გავუფრთხილდეთ და დავეხმაროთ გარემოს, რათა სუფთა და ჯანსაღი ჰაერი ვისუნთქოთ და დავიცვათ ჩვენი რაიონი. ეს ყველა ჩვენგანის ვალია და ყველამ ერთად უნდა ვიზრუნოთ,“ - აცხადებენ აქციის მონაწილეები ლევან შაიშმელაშვილი და თაზო ლაპიაშვილი.

როგორც აქციის ორგანიზატორები აცხადებენ, მმართველი პარტიის ახალგაზრდული ფრთა დედოფლისწყაროში მსგავსი ტიპის აქციებს მომავალშიც გეგმავს.

ირაკლი კოკილაშვილი

# ახალი გასართობი ცენტრი - პატარებს



ქალაქ დედოფლისწყაროს ტერიტორიაზე, კერძოდ რუსთაველის ქუჩაზე, ახალი საბავშვო პარკი ალბათ არცერთ აქაურ მკვიდრს არ დარჩენია შეუმჩნეველი. თვალისმომჭრელი ფერის საცურაო ატრაქციონმა, აიწონა-დაიწონამ და ფერადმა საქანელებმა, ჩვენი პატარა მაცხოვრებლების გული უმალ დაიპყრო.

აღნიშნული პარკი მართლაც ყველაზე საუკეთესო სიახლეა ჩვენს რაიონში, აქამდე ღია ცის ქვეშ ამგვარი გასართობი ატრაქციონებით სარგებლობის შესაძლებლობა დედოფლისწყაროელ ბავშვებს ჩვენი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არ ჰქონიათ.

ამჯერად, დედოფლისწყაროელ მშობლებს თავისი პატარების სურვილის დასაკმაყოფილებლად აღარ მოუწევთ დედაქალაქში, ან სიღნაღში გამგზავრება, რათა პატარები მცირედით მაინც გაახალისონ. ამიერიდან მშობლებს შეეძლებათ, აქვე, ფეხით გაასეირნონ პატარები და ამ მშვენიერ ახალ პარკში ყოფნით გაულამაზონ ნებისმიერი დღე.

აღნიშნული პარკის მშენებლობა, რა თქმა უნდა, ადგილობრივი ხელმძღვანელობის ძალისხმევით მოხდა, რომლებმაც წლევანდელ ბიუჯეტში ზემოხსენებული პარკის გაშენებაც გაითვალისწინეს.

ლალი მეხრიშვილი

# არბოშიკში გზების რეაბილიტაცია გრძელდება

სოფელ არბოშიკში მიმდინარეობს ცენტრალური ქუჩის გზის ასფალტის საფარის განახლება, რისთვისაც ამჟამად მიმდინარეობს ორმოული შეკეთება. სოფლის ცენტრში თავმოყრილი მოსახლეობა კმაყოფილებას გამოთქვამს აღნიშნული სამუშაოების ჩატარებისთვის და მადლობას უხდის ყველა იმ პირს, ვინც მათი გზის რესტავრაცია პრიორიტეტად განსაზღვრა.- „ზოგიერთი ამ ყველაფერს არჩევნებს უკავშირებს და ამბობს, რომ არა საპარლამენტო არჩევნები, ამას არ გააკეთებდნენო, მაგრამ მგონი ისინი ზედმეტად იბრმავებენ თვალებს, ის დროც ხომ ვნახეთ, როცა არჩევნებიც ტარდებოდა და ქვეყანაში არაფერს აკეთებდნენ. მე პირადად, რასაც აკეთებენ და რასაც მომავალში გვპირდებიან, მწამს, რომ რეალურად განახორციელებენ, ამიტომაც სახელისუფლებო პარტიის უფრო მჯერა, მის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატზეც ბევრ იმედს ვამყარებთ”, - ამბობს ჩვენთან საუბარში 70 წელს მიტანებული არბოშიკელი თემურ გოგიშვილი.

ლალი მეხრიშვილი



# ქედების ზონაში წყლის დებეტი გაიზრდება

დედოფლისწყაროს რაიონის საზღვრისპირა სოფლებში, ქედების ზონაში წყლის არსებული დებეტი გაიზრდება. ამის შესახებ გაზეთ „შირაქს“ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ლევან ბალაშვილმა განუცხადა.

მისი თქმით, სოფელ ქვემო ქედს წყალი არასოდეს ჰქონია, თუმცა, ამჯერად, ადგილობრივი მოსახლეობისთვის წყლის მიწოდება ბევრად გაუმჯობესდება.

„პირველ რიგში უნდა ითქვას, რომ ამ სოფელში მცხოვრებ მოსახლეობას წყალი არასოდეს მიეწოდებოდა... უცხო არავისთვისაა, რომ ადგილობრივები საჭირო წყალს მუდმივად კილომეტრებიდან ეზიდებოდნენ. ამჯერად, მინდა გითხრათ, რომ ვითარება უმჯობესდება და ამ სოფელში წყლის მიწოდება ბევრად გაუმჯობესდება. იმის თქმანაადრევია, რომ 24 საათიანი გრაფიკი იქნება, თუმცა ადრინდელთან შედარებით უკეთესი ვითარება ნამდვილად იქნება. სოფელი ქვემო ქედი 7 კილომეტრ სიგრძეზეა გადაჭიმული და წარმოიდგინეთ, მთლიანად დაიფინა ახალი მილი, მოხერხდა დებეტის გაზრდაც. ამდენად, ადგილობრივების საყოფაცხოვრებო პირობები შედარებით გაუმჯობესდება,“ - განუცხადა გაზეთ „შირაქს“ ლევან ბალაშვილმა.

საკრებულოს თავმჯდომარე უარყოფს ამასწინათ მედიით გავრცელებულ ინფორმაციას, თითქოს ქვემო ქედში პრეზიდენტის ვიზიტის დროს მილში წყალი სახანძრო სამსახურის ავტომობილიდან მოედინებოდაო.

ილია მარტყოფლიშვილი

# ცესკო-ს ერთ-ერთი მიმართულება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ამომრჩევლებისთვის თანაბარი მონაწილეობის უზრუნველყოფაა

თბილისში, სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტში“ საპარლამენტო არჩევნებში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა მონაწილეობის უზრუნველყოფაზე შეხვედრა გაიმართა. ღონისძიება საქართველოს ცენტრალური კომისიისა და საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის (IFES) ინიციატივით ჩატარდა. მას ცესკო-ს თავმჯდომარე ზურაბ ხარატიშვილი, საერთაშორისო და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები დაესწრნენ. ისინი ცესკო-ს მიერ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ამომრჩევლებისათვის საარჩევნო პროცესების გამარტივებისა და ხელშეწყობის მიზნით გაწეულ და გასაწევ საქმიანობებს გაეცნენ.

როგორც ზურაბ ხარატიშვილმა აღნიშნა, ცესკო-ს საქმიანობის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ამომრჩევლებისთვის საარჩევნო პროცესში თანაბარი მონაწილეობის უზრუნველყოფაა.

მისი თქმით, თითოეულ უნარშეზღუდულთან შეხვედრა კარდაკარის პრინციპით გაიმართა.

„ეს კარგი დასაწყისია იმისათვის, რომ არჩევნებში მათი მონაწილეობა გავაუმჯობესოთ. ამისათვის ცესკო არც ადამიანურ რესურსებს და არც შესაძლებლობებს დაიშურებს“, – აღნიშნა ზურაბ ხარატიშვილმა.

როგორც საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის პროექტის მენეჯერმა ქეთევან მაისურაძემ განაცხადა, უსინათლო ამომრჩევლებისათვის ბრაილის შრიფტით საარჩევნო კოდექსის 50 ეგზემპლარი დაიბეჭდა. მოთხოვნის შესაბამისად მათი რაოდენობა მომდევნო არჩევნებისათვის გაიზრდება.

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისათვის დაგეგმილია პანდუსების გაკეთება და საარჩევნო ყუთებთან მათი მიყვანის უზრუნველყოფა. ასევე სხვა ღონისძიებების გატარება.

ცესკო-ს კოორდინაციისა და მართვის დეპარტამენტის უფროს სოფიო სიჭინავას ინფორმაციით, არასამთავრობო ორგანიზაციის – კოალიცია „დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის“, ცესკო-სა და შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ 1 ოქტომბრის არჩევნებში ასეთი პირების მონაწილეობის უზრუნველსაყოფად ერთობლივი პროექტი განხორციელდა. მისი სახელწოდებაა: „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა არჩევნებში მონაწილეობის საჭიროებების დადგენა“.

განისაზღვრა შემდეგი სამიზნე ჯგუფები: ფიზიკური შეზღუდვის მქონე, სმენადაქვეითებული და უსინათლო. თბილისსა და საქართველოს 10 რეგიონში გამოკითხვა ჩატარდა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა მდგომარეობა და არჩევნებში მათი სრულფასოვნად მონაწილეობისათვის საჭიროებები განისაზღვრა. პროექტის ფარგლებში 8523 შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ამომრჩეველი გადამოწმდა.

როგორც გაირკვა, ეტლით მოსარგებლეები უბნის მოწყობას, უბნამდე გადაადგილებასა და საარჩევნო ყუთის ბინაზე მიტანას, სმენადაქვეითებულები უბნამდე გადაადგილებას, საარჩევნო ყუთის ბინაზე მიტანას, ხოლო უსინათლოები ასევე უბნის მოწყობას, უბნამდე გადაადგილებასა და საარჩევნო ყუთის ბინაზე მიტანას ითხოვენ.

როგორც შეხვედრაზე აღინიშნა, არჩევნებში ასეთ პირთა მონაწილეობის უზრუნველსაყოფად გაწეული თუ გასაწევი საქმიანობა საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებასა და საარჩევნო პროცესებისადმი ნდობის ამაღლებას შეუწყობს ხელს.



# გიორგი თარგამაძემ დედოფლისწყაროს მაჟორიტარ კანდიდატად ლია ჩოქური დაასახელა

***„ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის" ლიდერმა წინანდალის თეატრში შეკრებილ მოსახლეობას კახეთის მაჟორიტარები წარუდგინა.***

გიორგი თარგამაძემ საქართველოს პარლამენტის არჩევნებში თელავის მაჟორიტარობის კანდიდატად პარტიის თელავის ორგანიზაციის აღმასრულებელი მდივანი ვანო გალახვარიძე დასახელდა. ახმეტაში - უშანგი გაგუნაშვილი, ლაგოდეხში - ჯემალ მაჭარაშვილი, დედოფლისწყაროში - ლია ჩოქური, ყვარელში - ალექსი ბაიდოშვილი, სიღნაღში - ნინო ყუფარაშვილი, გურჯაანში - ნინო მურაკაშვილი, საგარეჯოში მაჟორიტარი დეპუტატობის მანდატის მოსაპოვებლად კი გიორგი ობოლაშვილი იბრძოლებს.



მაჟორიტარი კანდიატების წარდგენის შემდეგ გიორგი თრაგამაძემ კახელებს საარჩევნო პროგრამა გააცნო და მხარდაჭერისკენ მოუწოდა.

მისი განცხადებით, თითოეული ამომრჩეველი დარწმუნებული უნდა იყოს იმაში, რომ არჩევის შემთხვევაში „ქრისტიან-დემოკრატები" საქართველოს პარლამენტში მათი დასაყრდენი და ხალხის ინტერესების გამტარებლები იქნებიან.

“დინჯმა და მშრომელმა კახელებმა კარგად იციან, თუ კი რაიმე ამ ქვეყანას სიღატაკის ჭაობიდან ამოიყვანს და ქვეყანას გააერთიანებს, ეს არის ეკონომიკის განვითარება, სამართლიანი ტარიფები, სოფლის მეურნეობის ფეხზე დაყენება, განათლება და ჯანდაცვის ხელმისაწვდომობა. ყველა ამ შეკითხვაზე პასუხი არის „ქრისტიან-დემოკრატიულ“ არამხოლოდ პროგრამაში, არამედ იმ ჩვენს ოთხწელიწადნახევრიან აქტივობაში, რომელიც საქართველოს პარლამენტში, თუ ზოგადად ქართულ პოლიტიკაში, „ქრისტიან-დემოკრატებს" გვახასიათებენ." - განაცხადა თარგამაძემ.

შეგახსენებთ, რომ ლია ჩოქურის დასახელებამდე ქდმ დედოფლისწყაროში მისი მეუღლის, ვაჟა პოპიაშვილის კანდიდატურის წარდგენას გეგმავდა. თუმცა, მოგვიანებით პარტიაში განაცხადეს, რომ პოპიაშვილმა კენჭისყრა გადაიფიქრა და თარგამაძის მოძრაობა დედოფლისწყაროში ლია ჩოქურის კანდიდატურას წარადგენდა.

ილია მარტყოფლიშვილი

# სად განახორციელებენ ხმას მესაზღვრეები?

ჩვენს ქვეყანაში ბოლო დროს განვითარებული მოვლენების გამო, საქართველოს მასშტაბით სასაზღვრო პოლიციის სამსახურის თანამშრომლები მუშაობის გაძლიერებულ რეჟიმზე გადავიდნენ და თითქმის ერთთვიან „ყაზარმულზე“ იმყოფებიან. იქიდან გამომდინარე, რომ მესაზღვრეები არ იქნებიან თავის საცხოვრებელ უბანზე, ჩნდება კითხვა, თუ სად განახორციელებენ არჩევნების დღეს პირველ ოქტომბერს ისინი ხმას.

როგორც საარჩევნო კოდექსში ვკითხულობთ, განსაკუთრებულ რეჟიმში მყოფი თანამშრომლებისთვის ხმის განხორციელების პროცესს განსაზღვრავს თავად საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე.

როგორც დედოფლისწყაროს საოლქო-საარჩევნო კომისიის თავმჯდომარისგან, დავით ბუჩუკურისგან შევიტყეთ, რომ არცერთი მესაზღვრე არ დარჩება ხმის განხორციელების გარეშე. - „განსაკუთრებულად მკაცრი რეჟიმის გამო სასაზღვრო პოლიციის თანამშრომლები არჩევნების დღეს ყოველთვის საზღვარზე იმყოფებიან და საკუთარ უბნებში ვერ ანხორციელებენ ხმას, ამიტომ მათთვის იქმნება ხოლმე სპეციალური სია, ამჯერადაც ასე მოხდება. საოლქო-საარჩევნო კომისია მესაზღვრეებს მათ საგუშაგოსთან ყველაზე ახლოს მყოფ საარჩევნო უბანს დაუქვემდებარებს, სადაც ისინი განახორციელებენ ხმას. მათ გადაადგილებას კი უზრუნველყოფს თავად მათი სამსახური. იქიდან გამომდინარე, რომ ჩვენს რაიონში რამდენიმე სასაზღვრო პუნქტია, პანტიშარის, სამთაწყაროს, ქოჩების და სხვა პოსტები, მესაზღვრეები იმ საარჩევნო უბანში განახორციელებენ ხმას, რომელიც მათ საგუშაგოსთან ყველაზე ახლოს მდებარეობს.“ - აცხადებს დავით ბუჩუკური.

ლალი მეხრიშვილი

# გენდერული საკითხი საარჩევნო პროცესის ჭრილში

***არჩევნების მზადებამ საოლქო-საარჩევნო კომისიიდან საუბნო საარჩევნო კომისიების აქტიურ სამუშაო პროცესში გადაინაცვლა. რა თქმა უნდა, დიდია პასუხისმგებლობა და ვალდებულება თითოეული კომისიის წევრის მხრიდან, რომელსაც ევალება საარჩევნო კამპანიის და კენჭისყრის პროცესის სამართლიანად, მშვიდობიანად და ექსცესების გარეშე ჩატარება. მით უმეტეს,ამგვარი მრავალპარტიული არჩევნების დროს. ყველაფერი კი მაინც კომისიის წევრის მიერ საარჩევნო კანონმდებლობის სიღრმისეულ ცოდნაზე, მის გამოცდილებაზე და მოხერხებულობაზეა დამოკიდებული..***

ამის პარალელურად არასამთავრობო ორგანიზაციები საკითხს ასეც სვამენ, რამდენად დაცულია გენდერული საკითხი საარჩევნო კომისიის წევრებს შორის, ვის უფრო ენდობა ამომრჩეველი-კომისიის მამაკაც წევრს, თუ მანდილოსანს, ანდა რომელი სქესის წარმომადგენელი უკეთ გაუძლევება არჩევნების ჩატარების პროცესს? რამდენადაა დაცული გენდერული საკითხი საარჩევნო პროცესის ჭრილში დედოფლისწყაროში? მართალია,დედოფლისწყაროს საოლქო-საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე მამაკაცია, საარჩევნო ოლქში გენდერული ბალანსი მაინც თანაბრადაა დაცული, კერძოდ, აქ სამი მანდილოსანი კომისიის წევრია და სამიც მამაკაცი, მაგრამ მთლიანად რაიონსა და სოფლებში სუსტი სქესის წარმომადგენელი კომისიის წევრები სჭარბობენ.

საინტერესოა, რას ამბობენ ამ საკითხზე თვით ამომრჩევლები და რომელი სქესის წარმომადგენელ კომისიის წევრს უფრო უცხადებენ ნდობას?

- „კახელი მამაკაცები ფიცხები არიან და ასეთ დაძაბულ ვითარებაში ხშირად ვერ იკავებენ თავს იმისგან, რომ ექსცესებს მშვიდად შეხვდნენ, არჩევნებს კი, ხმაური არ შეჰფერის, ხმის აწევა და ქაოსი დისკომფორტს უქმნის ამომრჩეველს. ქალი კომისიის წევრის ყოფნა ბევრად უპრიანად მიმაჩნია, ვიდრე მამაკაცის, ამასთან, ჩვენი კაცები ძირითადად დაკავებულები არიან და თუ ვინმემ ძალიან არ სთხოვა, არც მოსცდებიან ამ საქმისთვის. მე მომწონს, რომ ქართველი ქალები დღეს ასე აქტიურად არიან ჩართულნი ნებისმიერ საერო საქმიანობაში. მიმაჩნია, რომ ისინი ნებისმიერ რთულ სიტუაციაში ნახულობენ გამოსავალს, რათა სიმშვიდე შეინარჩუნონ და დააბალანსონ სიტუაცია.წარმოიდგინეთ არჩევნები, სადაც კომისიის წევრებად სულ მამაკაცები იქნებოდნენ, ვფიქრობ, იმ არჩევნებზე ქალების უმეტესობა არც გამოცხადდებოდა, მე პირადად ქალ კომისიის წევრს უფრო ვუცხადებ ნდობას, ვიდრე მამაკაცს!“- აღნიშნავს ჩვენთან საუნარში სალომე ბენაშვილი.



-„გულწრფელად გითხრათ, ჩემთვის არანაირი მნიშვნელობა არ აქვს კომისიის წევრის სქესს, ორივეს თანაბარ ნდობას ვუცხადებ. სასურველია, თუ ორივე მათგანით იქნება დაკომპლექტებული კომისია,ჩვენი მამაკაცები სულაც არ არიან ექსცენტრულები, პირიქით, სიდინჯით გამოირჩევიან.

ჩემთვის, როგორც ამომრჩევლისთვის მთავარია, კომისიის წევრი ზედმიწევნით და კანონიერად ასრულებდეს დაკისრებულ მოვალეობას, გულწრფელი იყოს და ბოლომდე დაიხარჯოს ჩვენი ქვეყნის უკეთესი მომავლის არჩევნებისთვის. საერთოდ პროვინციებში, ვისაც ხელი არ მიუწვდება ახლოს გაეცნოს არჩევნების წესს, აქვთ წარმოსახვები, რომ არჩევნები რატომღაც ყალბდება, მაგრამ მე ორ არჩევნებზე ვიყავი დამკვირვებელი და ვინც შიდა სამზარეულოში ჩახედულია, ყველამ იცის, რომ დემოკრატიულ ქვეყანაში არჩევნების გაყალბება ნამდვილად აღარ ხდება.“ - აცხადებს მარი გიგოლაშვილი.

როგორც დედოფლისწყაროს საოლქო-საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე დავით ბუჩუკური ჩვენთან საუბარში აცხადებს,სხვა რეგიონებისგან განსხვავებით, მის საარჩევნო უბნებზე კომისიის მანდილოსანი წევრები სჭარბობენ და ამ ეტაპისთვის საკმად კარგადაც ართმევენ თავს დაკისრებულ მოვალეობებს, როგორც თავადვე ამბობს, ბევრი მათგანი წინა არჩევნებში გამოცდილი კადრია, მათი იმედი აქვს და სჯერა, მშვიდად გაართმევენ თავს დაკისრებულ მოვალეობას.

ლალი მეხრიშვილი.

# პოლიტიკა და ქართველი ქალი

ქალბატონი თამარი 70 წლისაა. ის არ ამხელს თავის პოლიტიკურ არჩევანს არა იმის გამო, რომ რომელიმე პარტიას უფრთხის, არამედ მეუღლის საბოლოო გადაწყვეტილებას ელოდება. ამბობს, რომ დღემდე ოჯახში ყველა საკითხი ისე წყდებოდა, როგორც ეს მის ქმარს სურდა. ასეა ახლაც. ის საარჩევნო კაბინაში იმ პარტიას თუ მაჟორიტარობის კანდიდატს შემოხაზავს, რომელსაც მისი მეუღლე.




ქალბატონი თამარი ერთადერთი არაა, ვინც იდენტურად ფიქრობს და იქცევა. საქართველოში, განსაკუთრებით კი რეგიონებში, ქალები არა მხოლოდ ოჯახში გადაწყვეტილების მიღებისას, არამედ არჩევნებშიც არ არიან თავისუფალნი. მათ ეს ჩვეულებრივ მოვლენად მიაჩნიათ და არ ესმით იმ ქალების, რომელთაც ოჯახში კონფლიქტი განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებების გამო აქვთ. „მახსოვს, მეოცე საუკუნის 90-იან წლებში, ბევრი ოჯახი იმიტომ დაინგრა, რომ ცოლი ზვიადისტი იყო, ქმარი კი შევარდნაძის მომხრეთა რიგებში ირიცხებოდა“-იხსენებს ჩვენი ერთ-ერთი ხანდაზმული რესპოდენტი, რომელიც თავის მოსაზრებებს ჩვენი ტრადიციებითა და რელიგიური მრწამსით ამაგრებს. გაზეთი „შირაქი“ დაინტერესდა, რა სიტუაციაა ახალგაზრდა ოჯახებში, აქაც დომინანტია თუ არა მამაკაცის სიტყვა და რამდენად განსაზღვრავს ძლიერი სქესის პოლიტიკური სიმპათია მეუღლის პოლიტიკურ არჩევანს.

რამდენიმე რესპოდენტთან გასაუბრების შემდეგ გაირკვა, რომ დედოფლისწყაროში ცხოვრობენ ახალგაზრდა ქალბატონები, რომელთაც მეუღლის გარეშე ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღება უჭირთ, მათ შორის პოლიტიკურ საკითხებშიც. რამდენიმე რესპოდენტმა კი განაცხადა, რომ საარჩევნო ყუთთან პოლიტიკურ არჩევანს დამოუკიდებლად მიიღებს და ქმრის აზრის მიუხედავად, იმ პოლიტიკურ სუბიექტს შემოხაზავს, რომელიც მხოლოდ მას მოსწონს. სამწუხაროდ, რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, ასეთი ქალბატონები უმცირესობაში არიან.

საქართველოში დემოკრატიული პრინციპების დამკვიდრებისა და თანამედროვე ტექნოლოგიური მიღწევების მიუხედავად, ძირეული მენტალური ცვლილები არ მომხდარა. აქ ისევ ძლიერია მამაკაცური საწყისისადმი მორჩილება. სუსტი სქესის წარმომადგენლები ხშირად გენდერული საკითხების სამართლებრივ მხარესაც უნდობლობას უცხადებენ და ამბობენ, რომ კანონის ამოქმედება შორეული პერსპექტივაა და ჯერ-ჯერობით მხოლოდ ფურცელზე რჩება. დღეს კვლავ ბევრი ქალი საუბრობს მის მიმართ განხორციელებულ ძალადობაზე, მათ შორის ფსიქოლოგიურ ძალადობაზეც. „ქმრები ჩვენგან მოითხოვენ, რომ მხოლოდ მათთვის მისაღები პოლიტიკური პარტია და კანდიდატი შემოვხაზოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში სახლში დარჩენით გვემუქრებიან. ამიტომ მათ ნებას ვითვალისწინებთ, აბა საკუთარი ქმრისგან კანონი დაგვიცავს?“-განაცხადეს ჩვენთან საუბრისას ქალბატონებმა, რომლებმაც ვინაობის გამჟღავნებისგან გასაგები მიზეზების გამო თავი შეიკავეს. როგორც ისინი თავადვე ამბობენ, მათ ორი არჩევანი აქვთ- ან დაუჯერონ ქმრებს, ანდა სიმართლე დაუმალონ და პოლიტიკური არჩევანი ჩუმად, საარჩევნო კაბინაში გააკეთონ.



წერილს კი ჩვენი რესპოდენტის სიტყვებით დავასრულებთ: მიმაჩნია, რომ ქრისტიანული მორალი ბევრი ქალისთვისაა განმსაზღვრელი და კიდევ, ხალხური გამონათქვამი:“ მამაკაცი ოჯახის თავია, ქალი კი - კისერიო“. ამიტომ ხანშიშესული ქალბატონი თვლის, რომ ქალის სიბრძნეზე ბევრადაა დამოკიდებული, რამდენად კარგად შეასრულებს ის კისრის ფუნქციას-მიატრიალებს თუ არა თავს იქითკენ, საითაც მას სურს.

ინგა შიოლაშვილი

# დედოფლისწყაროს №14 საოლქო-საარჩევნო კომისიამ დაადგინა უბნების ტერიტორიული საზღვრები

## №1 ქ. დედოფლისწყაროს საარჩევნო უბანი

ცენტრი: კულტ-სახლი, კოსტავას ქ. №1

ბიძინა მაზიაშვილის:(სადგურის) №1-13, №2-6; თეატრის ქუჩა: №1-15, 2-4; გორგასლის ქუჩა: №1-7, 2-8; ფიროსმანის ქუჩა: №1-9ა, №2-8; კოსტავას ქუჩა: №1-3, №2-66; ჰამლეტ გონაშვილის(კიკვიძის) №1-5, №2-16; 9 ძმის ქუჩა №1-17, №2-56; 9 ძმის I შესახვევი: №1-15, 8: 9 ძმის II შესახვევი: №2-6; 10; 9 ძმის III შესახვევი: №1-13, №2-6; 9 ძმის IV შესახვევი: №1-11, №2-18; ჰერეთის ქუჩა(სტალინის)№1-107, №2-150; ჰერეთის (სტალინის) შესახვევი №2-26, №1-13; ჰერეთის(სტალინის) I შესახვევი: №5-121, №8-24; ჰერეთის (სტალინის) II შესახვევი: №3-15, №4-18; ჰერეთის( სტალინის)III შესახვევი: №1-3; რუსთაველის ქუჩა: №28-104, №29-103; რუსთაველის I შესახვევი №1-3, №2-10; რუსთაველის შესახვევი: №1-25, №2. ანტონ ნატროშვილის ქუჩა(სამხედროს დასახლება)№1-3, №43, №83კორ. №89,№54;

## №2 დედოფლისწყაროს საარჩევნო უბანი

ცენტრი: №2 საჯარო სკოლა, 9 აპრილის ქ. №149.

ვაჟა-ფშაველას ქუჩა №1-29, №2-24, ბაგრატიონის ქუჩა: №1-13, №2-20, თერგის ქუჩა: №1-17, №2-26,თერგის ქ. შესახვევი №2-4; თერგის ქ. 1 შესახვევი №1-3; №2-4; თერგის ქ. 2 შესახვევი №2-4; თამარის ქუჩა №1-99, 2-90; თამარის ქუჩა I შესახვევი: №1-7, №2-4; თამარის ქუჩა II შესახვევი: №1-7, №2-6; არხოტის ქუჩა: №1-17, №2-28; არხოტის ქუჩა I შესახვევი: № 2-6. Aარხოტის ქუჩა II შესახვევი: №2-12; რუსთავის ქუჩა: №1-7, 2-12; 9 აპრილის ქუჩა: №1-167, №2-158; 9 აპრილის I შესახვევი: №1-6, 9 აპრილის II შესახვევი №4, №6; №2; 9 აპრილის III შესახვევი: №2-4; №1-13; 9 აპრილის IV შესახვევი: №1-19 №2-12,70;9 აპრილის V შესახვევი№7; 9 აპრილის 2ჩიხი №1-3; სააკაძის ქუჩა: №1-5, №2-10. იორის ქუჩა №1-3, №2. Aალაზნის ქუჩა: №1-3, №2-8, ფიროსმანის ქუჩა: №4-24, №1-27; გორგასლის ქუჩა: №9-33,51, №10-26; ევდოშვილის ქუჩა: №1-31,53, 2-28; ევდოშვილის I შესახვევი №1-31,№2-28; ევდოშვილის II შესახვევი: 1-13, №2-22. ევდოშვილის III შესახვევი: №1-5,№2-20;ევდოშვილის IV შესახვევი №2-4; წყაროს ქუჩა: №1-19, №2-14,70; ვახუშტი ბაგრატიონის ქუჩა:(ლომის) №1-17, №4-12; ერეკლე II ქუჩა: №1-81, №2-76; ერეკლე II შესახვევი №1-3, №2-4. კახეთის ქუჩა №1-27, №2-14. კახეთის ქუჩა I შესახვევი: №1-9, №2-4. კახეთის ქუჩა II შესახვევი: №1-3, 2-10. აღმაშენებლის ქუჩა: №1-69, №2-112. აღმაშენებლის შესახვევი: №1-5, აღმაშენებლის 1 შესახვევი №1-5. ორბელიანის ქუჩა: №1-23, №2-28. 9 აპრილის შესახვევი №80. ერეკლე II-ის II შეს. №8. თამარის ქ. III შეს. №15. თამარის შესახვევი №71.

## №3 დედოფლისწყაროს საარჩევნო უბანი

ცენტრი: ბაგა-ბაღი №4 ნიკორციხის ქუჩა №111

შირაქის ქუჩა: №62-102, №101-113; რუსთაველის ქუჩა: №101-147, №106-128. რუსთაველის II შესახვევი №2-10, ნიკორციხის ქუჩა: №1-41, №2-60. ჭავჭავაძის ქუჩა: №1-189, №2-110; ჭავჭავაძის შესახვევი M71ა. ჭავჭავაძის 1 შესახვევი N78, ;პატატიშვილის ქუჩა(ახალი) №1-27, №2-32. ვაჩნაძის ქუჩა: №1-33, №2-24; ტაბიძის ქუჩა: №1-59, №2-30. მთის ქუჩა: №]1-33, №2-28; გურამიშვილის ქუჩა: №1-69, №2-36; ყაზბეგის ქუჩა: №1-43, №2-38. წერეთლის ქუჩა: №1-27, №2-24. გოგებაშვილის ქუჩა: №1-53, №2-40. თბილისის ქუჩა: №1-37, №2-46. თბილისის შესახვევი №1. ნინოშვილის ქუჩა: №1-9, №2-16; თაყაიშვილის ქუჩა: №1-3, გამარჯვების ქუჩა: №52-70, №53-99; გამარჯვების შესახვევი №2-4, №3-7; ს.ბაღაშვილის(გამარჟვების 1შესახვევი)№1-7;№2-6; სანდრო ახმეტელის(გამარჯვების მე-2 შესახ.) №1-7, №2-4. ფფ.ლაპიაშვილის ქ. (ყოფილი გორკის ქ.) №2-10; თბილისის ჩიხი №1; შირაქის I შეს. №1-6; შირაქის შეს. №1.

## №4 სოფ. არბოშიკის საარჩევნო უბანი

ცენტრი: სოფ. არბოშიკის ყოფილი საკრებულოს შენობა

საზღვარი: კობა ალადაშვილის სახლიდან გოჩა ყოჩიაშვილის სახლის ჩათვლით.

## №5 სოფ. ოზაანის საარჩევნო უბანი

ცენტრი: სოფ. ოზაანის ყოფილი საკრებულოს შენობა

საზღვარი: თამაზ ჩალახეშაშვილის სახლიდან ვანო ჯანყარაშვილის სახლის ჩათვლით.

## №6 სოფ. გამარჯვების საარჩევნო უბანი

ცენტრი: სოფ. გამარჯვების ბაღის შენობა

საზღვარი: გია ბენაშვილის სახლიდან ალექსანდრე ნაროზაულის სახლის ჩათვლით.

## №7 სოფ. ხორნაბუჯის(წითელწყარო) საარჩევნო უბანი

ცენტრი: სოფ. ხორნაბუჯის ყოფილი საკრებულოს შენობა

ბეჟანიშვილის ქ.№16.№52.№73. გამარჯვების ქ.№32.№51. დავით აღმაშენებლის ქ.№1-127.№2-84. №184. დუმბაძის ქ.№12 .№33. №70. დუმბაძის მე-3შესახვევი №12. ერეკლე მე-2-ის ქ. [ყოფ.კლარაცეტკინის] №2-58.№5-29. ვაშლოვანის ქ. №1-17 №6-24. ვოროშილოვის ქ.№5.№10.№21. თავისუფლების ქ.№2-62.№3-125. თავისუფლების 1 შესახვევი №1-3.№2. თავისუფლების ქ.№1-125.№2-70.თავისუფლების შესახვევი №1-5.ზ.კოსმოდემიანსკაიას ქ.№17.№32 №46ა.№49 №57. მ.კოსტავას №1-11. №2-28,№55. კოსტავას შესახვევი №5, ლერმონტოვის ქ.№2-38. №3-15.მახარაძის ქ.№11. №29. მეგობრობის 1 შესახვევი №1-3,№4. მეგობრობის მე-2 შესახვევი №37.№38 №52. მეგობრობის ქ.№2-88. №1-131.მეგობრობის შესახვევი. მეგობრობის 1 შესახვევი №1-39. №2-4. მეგობრობის მე-2 შესახვევი №1-27. №52.№138. მეგობრობის მე-3 შესახვევი №3-17. ფ.მოსულიშვილის ქ.№1-81, №2-72. რუხაძის ქ.№7.ქიზიყის 1 შესახვევი [ყოფ.ძნელაძის] №1-17-19-29.№18.20.22.28. ქიზიყის მე-2 შესახვევი [ყოფ ძნელაძის] №1-63 №2-54. ქიზიყის ქ.№1-63. შრომის ქ.№8.

## №8 სოფ. ზემო მაჩხაანის საარჩევნო უბანი

ცენტრი: სოფ. ზემო მაჩხაანის დაწყებითი სკოლა

1 ქ. 19-81; 26-76.ც1 ქ. 11 ჩიხი 2-4;ც1 ქ. 12 ჩიხი 1-3, 2; 1 ქ. 13 ჩიხი 1-5ა, 2; 1 ქ. 14 ჩიხი 1, 2; 1 ქ. 15 ჩიხი 2-10, 3-5; 1 ქ. 16 ჩიხი 1-3, 2; 1 ქ. 17 ჩიხი 1; 1 ქ. 18 ჩიხი 1-5 2-4; 1 ქ. 3 ჩიხი 2-8, 5-11;ც1 ქ. 4 ჩიხი 2; 1 ქ. 5 ჩიხი 1-5; 1 ქ. 6 ჩიხი 2-4, 3-5; 1 ქ. 7 ჩიხი 1-7,2; 1 ქ. 8 ჩიხი 1-3; 1 ქ. 9 ჩიხი 2,3; 2 ქ. 2-30, 5-41; 2 ქ. 10 ჩიხი 2-4; 2 ქ. 12 ჩიხი 2; 2 ქ. 13 ჩიხი 5; 2 ქ. 14 ჩიხი 2, 2ა; 2 ქ. 15 ჩიხი 1,1ა; 2 ქ. 16 ჩიხი 1,2; 2 ქ. 17 ჩიხი 1-3, 2; 2 ქ. 18 ჩიხი 2-6, 5-7; 2 ქ. 19 ჩიხი 1-3, 2-4; 2 ქ. 2 ჩიხი 1-3, 2; 2 ქ. 3 ჩიხი 2ა, 4; 2 ქ. 4 ჩიხი 1-3; 2 ქ. 5 ჩიხი 1, 2-4; 2 ქ. 6 ჩიხი 4; 2 ქ. 7 ჩიხი 2; 2 ქ. 8 ჩიხი 2-4; 2 ქ. 9 ჩიხი 2-6; 24 ქ. 20-36, 21-33; 24 ქ. 3 ჩიხი 1; 24 ქ. 4 ჩიხი 1; ც24 ქ. 5 ჩიხი 1; ც24 ქ. 7 ჩიხი 1, 2; 24 ქ. 8 ჩიხი 1;ც28 ქ. 2-10ა; 28 ქ. I შეს. 1-17, 2-10; 29 ქ. 2-10, 5; 29 ქ. 1 ჩიხი 1-19, 2-6; 3 ქ. 1-9, 2-4;ც3 ქ. 1 ჩიხი 1; 30 ქ. 1, 2-6; 30 ქ. 1 ჩიხი 1; ც31 ქ. 2-4, 5; 31 ქ. 1 ჩიხი 1-7ა; 31 ქ. 2 ჩიხი 1, 2; 32 ქ. 2-12, 5-17; 32 ქ. 1 ჩიხი 1; 33 ქ. 5, 6; 33 ქ. I შეს. №2; 34 ქ. 2-16, 7-27; 34 ქ. I შეს. 1-6, 3; 34 ქ. 1 ჩიხი 2-2ა; 35 ქ. 3-11, 8; 4 ქ. 1-25, 6-20; 4 ქ. 2 ჩიხი 1, 2; 4 ქ. 3 ჩიხი 1-5, 4; 5 ქ. 1-11, 8-16; 5 ქ. 1 ჩიხი 2; 5 ქ. 2 ჩიხი 1, 2; 7 ქ. 1, 2; 8 ქ. 3-7; 8 ქ. 1 ჩიხი 2; 9 ქ. 1-27, 2-16ა; 9 ქ. I შეს. 1-5, 2-4; 9 ქ. 1 ჩიხი 2-6, 9 ქ. 2 ჩიხი 1-3; 9 ქ. 3 ჩიხი 1-7, 2-4; 9 ქ. 4 ჩიხი 1-3.

## №9 სოფ. ზემო მაჩხაანის საარჩევნო უბანი

ცენტრი: სოფ. ზემო მაჩხაანის კულტურის სახლი

1 ქ. 2-22, 7-17; 1 ქ. 2 ჩიხი 1-5, 2-6; 10 ქ. 1-3, 6; 10 ქ. 1 ჩიხი 1, 2-4; 11 ქ. 2-52, 5-53; 11 ქ. I შეს. 2-4; 11 ქ. 1 ჩიხი 2-4ა, 3-5; 11 ქ. 2 ჩიხი 1, 2; 11 ქ. 3 ჩიხი 1, 4; 11 ქ. 4 ჩიხი 2-8; 11 ქ. 5 ჩიხი 1, 2ა; 11 ქ. 6 ჩიხი 2-6; 12 ქ. 1-13; 2-22; 12 ქ. 1 ჩიხი 1-9, 2-8; 13 ქ. 4-20, 1-11, 4-20; 13 ქ. I შეს. 1-3, 6; 13 ქ. 1 ჩიხი 2-4, 3; 13 ქ. II შეს. 1; 13 ქ. 2 ჩიხი 1; 14 ქ. 2-12; 14 ქ. 1 ჩიხი 2-4; 15 ქ. 1-17, 2-16; 15 ქ. 1 ჩიხი 2-3, 4; 16 ქ. 1-11, 2-12; 16 ქ. 1 ჩიხი 1, 2; 16 ქ. 2 ჩიხი 1-3ბ, 2; 17 ქ. 1-3, 2-4; 17 ქ. 1 ჩიხი 1-3ა, 2; 18 ქ. 7-27; 18 ქ. 1 ჩიხი 1; 18 ქ. 2 ჩიხი 1-9, 2-6ა; 18 ქ. 3 ჩიხი 1-3, 2-6; 18 ქ. 4 ჩიხი 1-3, 2-4; 19 ქ. 1-49, 2-36; 19 ქ. I შეს. 1-5, 2-6; 2 ქ. 1-3; 2 ქ. 1 ჩიხი 1; 20 ქ. 1-3, 2-6ა; 20 ქ. 1 ჩიხი 1-3, 2-4; 21 ქ. 1-9,2-8; 22 ქ. 1-9, 2-14; 22 ქ. 1 ჩიხი 3-5; 23 ქ. 1-13, 2-4; 24 ქ. 1-19, 2-16; 24 ქ. I შეს. 6; 24 ქ. 1 ჩიხი 2, 3-3ა; 24 ქ. 2 ჩიხი 1-7, 2-12ა; 25 ქ. 2-4, 1; 25 ქ. 1 ჩიხი 1-7ა; 25 ქ. 2 ჩიხი 1-3, 2; 26 ქ. 1-6, 3; 26 ქ. 2 ჩიხი 1, 2; 27 ქ. 1-11, 2-10; 27 ქ. 1 ჩიხი 2-6, 1; 6 ქ. 3-23, 6-28; 6 ქ. I შეს. 2-4, 1; 6 ქ. 1 ჩიხი 1-1ა, 2; 6 ქ. 2 ჩიხი 1-7, 2-12.

## №10 სოფ. მირზაანის საარჩევნო უბანი

ცენტრი: სოფ. ბაღის შენობა

საზღვარი: ელგუჯა ხუციშვილის სახლიდან თამაზ ჯავაშვილის სახლის ჩათვლით.

## №11 სოფ. სამრეკლოს(ჯაფარიძე) საარჩევნო უბანი

ცენტრი: სოფ. სამრეკლოს კულტურის სახლი

ქუჩა1შეს.1 №2; ქუჩა1 შეს 2№2; ქუაჩ1 შეს 3№1,2; ქუჩა1 შეს.4№1-3 №2; ქუჩა1 შეს 5 №2; ქუჩა2 ჩიხი1 №1; ქუჩა2 შეს 4№1-2; ქუჩა4 შეს 1 №1; ქუჩა 4 ჩიხი1 №1; ქუჩა4 შეს 11 №1, №2-4; ქუჩა 4 შეს.2 №2-3; ქუჩა 4 შეს 3 №2; ქუჩა4 შეს4 № 1-5 №2; ქუჩა4 შეს 5 № 2-4; ქუჩა 4 შეს 6 № 2-4 №1; ქუჩა7 ჩიხი 1 №2-6 №1; ქუჩა 7 ჩიხი 3 №1-2; ქუჩა 7 შეს 4№2.; ქუჩა 7 შეს.5№1-2; ქუჩა 7 შეს.6 №2; ქუჩა1 №1-159 №4-142; ქუჩა 2 №2-70, №3-83; ქუჩა3 №1-13 №2-28; ქუჩა4 №59-149. №60-176; ქუჩა6 №6-10.№9-23; ქუჩა7 №2-42 №3-13.

## №12 სოფ. ზემო ქედის საარჩევნო უბანი

ცენტრი: სოფ. ზემო ქედის კულტურის სახლი

ზემო ქედი 1ქ.16 შეს.№2; 1ქ.17 შეს.№1, 3, 5; 1ქ.3 შეს.№2; ქუჩა1 1ჩიხი №2,4; ქუჩა14 შეს. №1; ქუჩა1 შეს 11 №1-5 №2-8; ქუჩ ა14 შეს.12 №2-12 ; ქუჩა14 შეს 4 №2; ქუჩა15 1ჩიხი №4; ქუჩა 16 ჩიხი1 №2; ქუჩა 7 შეს.1 №4; ქუჩა 8 შეს.1№1; ქუჩა 9 შეს.1 №1; ქუჩა 1 №3-69 ,№8-70; ქუჩა10 №1-31, №2-50; ქუჩა11 № 1-13, №4-40; ქუჩა12 № 1-37 , №2-44; ქუჩა 13 №1-37, №2-88; ქუჩა 14 №1-89, №4-84; ქუჩა 15 № 1-77 , № 2-14; ქუჩა 16 № 6, №7-51; ქუჩა2 №1-59, №2-30; ქუჩა 3 №1-61, №2-64; ქუჩა 4 № 8-16, №9-31; ქუჩა 5 № 2-20, №3-33; ქუჩა 6 №1-29. №2; ქუჩა 7 № 1-21,№ 2.; ქუჩა 9 № 4-42.

## №13 სოფ. ზემო ქედის საარჩევნო უბანი

ცენტრი: სოფ. ზემო ქედის საჯარო სკოლა N2

ქუჩა18 შეს.2 №2; ქუჩა 18 შეს 3 №2 ; ქუჩა 1 № 74-226, № 75-223; ქუჩა 17 №6-28; ქუჩა 18 № 1-41, №2-38; ქუჩა 19 № 1-15, № 2-26. ქუჩა 2 № 61-153; ქუჩა 20 № 1-13 , № 2-22; ქუჩა 21 №1-27, № 2-14; ქუჩა 22 №3; ქუჩა 3 № 66-106, №67-183.

№14 სოფ. არხილოსკალოს საარჩევნო უბანი

ცენტრი: სოფ. არხილოსკალოს ყოფილი საკრებულოს შენობა

საზღვარი: ივანე ბაბუნაშვილის სახლიდან მიხეილ ჩიტიშვილის სახლის ჩათვლით.

## №15 სოფ. ქვემო ქედის საარჩევნო უბანი

ცენტრი: სოფ. ქვემო ქედის საჯარო სკოლა

1 ქ. 1-137, 2-148; 1 ქ. I შეს. 2-8, 3-5; 1 ქ. 2 ჩიხი 2-6; 1 ქ. 3 ჩიხი 2-10; 10 ქ. 2-32, 5-19; 10 ქ. I შეს. 1-27; 10 ქ. 1 ჩიხი 1; 10 ქ. 2 ჩიხი 3; 10 ქ. 3 ჩიხი 2-4, 3; 2 ქ. 1-59, 2-4; 3 ქ. 1-9, 2-10; 3 ქ. 1 ჩიხი 2; 9 ქ. 1-31, 2-24;

## №16 სოფ. სამთაწყაროს საარჩევნო უბანი

ცენტრი: სოფ. სამთაწყაროს ბაღის შენობა:

საზღვარი: ალექსი ჯაიანის სახლიდან ზაქრო სულაძის სახლის ჩათვლით.

## №17 სოფ. ფიროსმანის საარჩევნო უბანი

ცენტრი: სოფ. ფიროსმანის საჯარო სკოლა

საზღვარი: ვალერი ხილაძის სახლიდან დათო ბერიძის სახლის ჩათვლით.

## №18 სოფ. საბათლოს საარჩევნო უბანი

ცენტრი: სოფ. საბათლოს ყოფილი საკრებულოს შენობა

საზღვარი: ვლადიკ მურადიანის სახლიდან ჟორა ოვსეპიანის სახლის ჩათვლით.

## №19 ქ. დედოფლისწყაროს საარჩევნო უბანი

ცენტრი: ქ. დედოფლისწყარო, ბარათაშვილის ქ. №19, (ვეტ. ლაბორატორიის შენობა).

ქიზიყის ქუჩა: №2-74; ფალიაშვილის ქუჩა: №1-27, №2-14, ფარნაოზ ლაპიაშვილის(გორკის) ქუჩა: №2-12; ბარათაშვილის ქუჩა: №1-25, №2-26. სკოლის ქუჩა: №1-19,30, 2-12. სკოლის ქუჩის შესახვევი №2-8. სკოლის ქ. ჩიხი №2; სარაჯიშვილის ქუჩა: №1-23, №2-18. 1 მაისის ქუჩა: №1-55, №2-48. შირაქის ქუჩა: №1-105, №2-82.შირაქის ქუჩის შესახვევი: №1, №2-10;შირაქის ქუჩა 1 შესახვევი №1, №2-6; მარჯანიშვილის ქუჩა: №1-33, №2-52; დათუნა ბოსტაშვილის ქუჩა(სამხედროს) №1-31, №2-54, N3-83კ; კონსტიტუციის ქუჩა: №1-21, №2-34; გამარჯვების ქუჩა: №1-95, №2-50; ნიკო კეცხოველის(ლესელიძის) ქუჩა: №1-33, №2-50; პუშკინის ქუჩა: №1-57, №2-30; ლეონიძის ქუჩა: №1-15, №2-12; რუსთაველის ქუჩა: №1-27, №2-26; მეგობრობის ქუჩა: №1-3, №1-1კ. №2; მეგობრობის I შესახვევი: კორპუსი №38, №39;

## №20 ქ. დედოფლისწყაროს საარჩევნო უბანი

ცენტრი: ნიკოლოზ გომელაურის ქუჩა №18, №3 ბაგა-ბაღის შენობა

ხორნაბუჯის ქუჩა: №1-27, №2-36; 9 აპრილის ქუჩა: №117-183, №154-228; მიხეილ ჯავახიშვილის ქუჩა(პრესის) №1-39, №2-62; ნიკოლოზ გომელაურის ქუჩა(მეტალურგების) №1-57, №2-52; სოლომონ დოდაშვილის(სამთოელების) ქუჩა: №1-29, №2-28; ალადაშვილის ქუჩა: №1-41, №2-42; ალადაშვილის შესახვევი №2-12; №1-3; ალადაშვილის I შესახვევი: №1-7, №2-8; ალადაშვილის 2 შესახვევი №1-9; წმ. ნინოს ქუჩა: №1-5, №2-12; ქეთევან წამებულის ქუჩა: №1-3, №2; მშვიდობის ქუჩა: №1-15; ჰერეთის(სტალინის) ქუჩა: №109-235, №132-236;

## №21 სოფ. სამრეკლოს(ჯაფარიძე) საარჩევნო უბანი

ცენტრი: სოფ. სამრეკლოს საჯარო სკოლა

10 ქ.1 ჩიხი №2-4; ქუჩა12 შეს 1 №5-11; ქუჩა 13 შეს 1 №2-6; ქუჩა 14 ჩიხი1 №2-6, №1; ქუჩა 10 №1-39, №2-54; ქუჩა11 №1-21, №2-28; ქუჩა12 №1-33, №2-88; ქუჩა 13 №4-20; ქუჩა 14 №1-23, №2-20; ქუჩა4 №1-57, №2-58; ქუჩა 8 №5-15; ქუჩა 9 №4-8, №5-21;

## №22 სოფ. ხორნაბუჯის (წითელწყარო) საარჩევნო უბანი

ცენტრი: სოფ. ხორნაბუჯის სოფლის მუზეუმის შენობა

სოფ.ჭოეთი. [ყოფ.ლენინოვკა] ე.ბეჟანიშვილის ქ.№1-103. №2-112. სოფ.ჭოეთი გაგარინის ქუჩა №9-37,№8-38, გამსახურდიას ქ.№2-16, №3-31.მ.გელოვანის ქ.№1-47,№4-46ა. დუმბაძის 1 შესახვევი№5-79 №6-82,დუმბაძის ქ.[ყოფ. კომკავშირის] №1-79 №6-82. ვაჟა-ფშაველას ქ№2-26,№5-59.სოფ.ჭოეთი ვოროშილოვის ქ.№2-38. თავისუფლების ქ.№14.№85.№103 კოსმოდემიანსკაიას ქ.№62. 26 მაისის ქ.№1-29.№4-26. ჩოლოყაშვილის 1შესახვევი№ 2ა.№5 №17 №23.ჩოლოყაშვილის მე-2შესახვევი №6.№10.ჩოლოყაშვილის მე-3შესახვევი№4-12. ჩოლოყაშვილის ქ.№2-140 №598.№5-95.ჭავჭავაძის ქ.[ყოფ.საბჭოს] №1-59.№4-34. სოფ.ხორნაბუჯი ჭოეთისქ.№4.

## №23 სოფ. ქვემო ქედის საარჩევნო უბანი

ცენტრი: სოფ. ქვემო ქედის საჯარო სკოლა

1 ქ. 139-341, 150-318; 1 ქ. 10 ჩიხი 1; 1 ქ. 3 შეს. 1; 1 ქ. 4 შეს. 2-4, 1; 1 ქ. 4 ჩიხი 2; 1 ქ. 5 შეს. 2, 5; 1 ქ. 5 ჩიხი 1, 2; 1 ქ. 6 შეს. 1, 2; 1 ქ. 6 ჩიხი 2, 3; 1 ქ. 7 შეს. 1-7, 2-6; 1 ქ. 7 ჩიხი 4; 1 ქ. 8 ჩიხი 1-3, 2; 1 ქ. 9 ჩიხი 1, 2; 10 ქ. 23-41, 34-62; 10 ქ. 4 ჩიხი 2; 10 ქ. 5 ჩიხი 1-7, 4-10; 11 ქ. 2-10, 3-11; 11 ქ. 1 შეს. 1; 12 ქ. 2-10, 3-19; 12 ქ. 1 ჩიხი 1, 3; 13 ქ. 1-9, 2-12; 13 ქ. 1 ჩიხი 1, 2; 13 ქ. 2 ჩიხი 2-4, 1; 13 ქ. 3 ჩიხი 1, 2; 13 ქ. 4 ჩიხი 1-3; 4 ქ. 1-27, 2-14; 5 ქ. 2-34, 7-71; 6 ქ. 1-9, 2; 6 ქ. 1 ჩიხი 1-3, 2-12; 7 ქ. 1-87, 2-28; 7 ქ. 1 ჩიხი 2; 8 ქ. 1-19, 2-10.

# არსებობდა თუ არა სინამდვილეში ტროას ცხენი?

როგორ აღიწერა მიკენელებისა და ხეთების ომი ბერძენთა და ტროელთა ომად

მსოფლიო ისტორიაში დღემდე განსჯის საგნად რჩება ძველი ბერძნული ისტორია ტროას ათწლიანი ალყის შესახებ. ამბავმა, რომელიც ბერძენმა პოეტმა ჰომეროსმა აღწერა, ისე მყარად გაიდგა ფესვი ადამიანთა ცნობიერებაში, რომ იგი დღემდე ყველა დროის უდიდეს გამოცანად რჩება. ეს მხოლოდ მითია, როგორც უწინ მიაჩნდათ, თუ როგორც ზოგი ფიქრობს, ახლა უფრო მეტი საფუძველი არსებობს იმის დასამტკიცებლად, რომ რაც ჰომეროსმა დაწერა, სიმართლეა?

ტროას ადგილას დღეს ლეგენდარული ცხენის უზარმაზარი ასლი დგას. როგორც ჰომეროსი "ოდისეაში" აღწერს, ბერძნებს გიგანტური ცხენის მეშვეობით სურდათ დაესრულებინათ ქალაქის ათწლიანი ალყა და ომში საბოლოო გამარჯვება მოეპოვებინათ. ამბავი მართლაც შთამბეჭდავია. ბერძენთა მშვენიერი დედოფალი ელენე ტროელთა უფლისწულმა პარისმა მოიტაცა და ტროაში წაიყვანა, სადაც მამამისი პრიამოსი მეფობდა. ბერძენთა მეფე აგამემნონი სათავეში ჩაუდგა ბერძენთა ფლოტს ტროას დასალაშქრად და მშვენიერი ელენეს დასაბრუნებლად. ქალაქის ალყა ათ წელიწადს გაგრძელდა და მასში როგორც ბერძენი (აიაქსი, აქილევსი), ასევე ტროელი (ჰექტორი) არაერთი გმირი მონაწილეობდა. ბერძნებმა რჩეული მეომრები ხის ცხენში ჩასხეს და ქალაქის კარიბჭის წინ დატოვეს, თვითონ კი ვითომ იქაურობას გაეცალნენ. წინასწარმეტყველი ქალის, კასანდრას (პრიამოსის ქალიშვილი) გაფრთხილების მიუხედავად, ტროელებმა ცხენი ქალაქში შეიტანეს. ღამით ცხენიდან მეომრები გამოვიდნენ, კარიბჭე გააღეს და ბერძნები ქალაქში შეუშვეს. მართლაც შესანიშნავი ისტორიაა, მაგრამ შეესაბამება კი ის სინამდვილეს?

ჰომეროსი იდუმალებით მოცული პიროვნებაა. ჩვენ ძალიან ცოტა რამ ვიცით ამ კაცზე ან იქნებ ქალზე. შემორჩენილია მხოლოდ მისი ორი ეპიკური პოემა "ილიადა" და "ოდისეა", რომლებიც დაახლოებით ძვ.წ. 730 წელს დაიწერა (თავად ამბები, რომლებიც მასშია მოთხრობილი, ზეპირსიტყვიერებით გადაეცემოდა თაობებს). პოემების გადარჩენაში დიდი წვლილი მიუძღვით რომაელებს, რომლებიც მოხიბლული იყვნენ ჰომეროსით. რომაელებს, რომელთაც მოგვიანებით ბერძნები დაამარცხეს, სჯეროდათ, რომ ტროას ომში გადარჩენილთა შთამომავლები იყვნენ, - იმათი, ვინც დაცემული ქალაქიდან გამოქცეულებმა, იტალიას შეაფარა თავი.

ტროას ომის ამბავი საუკუნიდან საუკუნეს გადაეცემოდა და არაერთხელ გამხდარა მეცნიერების შესწავლის საგანი. ერთხანს სწავლულები ერთსულოვნად ამტკიცებდნენ, რომ ეს ლეგენდა იყო.

მართალია, ჰომეროსმა დაწვრილებით აღწერა ტროა და მისი შემოგარენი, თანამედროვე მსოფლიოსთვის მაინც უცნობი იყო ქალაქის ზუსტი ადგილმდებარეობა. მეცნიერთა ვარაუდით, ქალაქი უნდა ყოფილიყო თანამედროვე თურქეთის ჩრდილოეთ-დასავლეთ სანაპიროზე, სადღაც დარდანელის სრუტის შესასვლელთან, მაგრამ სახელდობრ სად, ვერავის დაედგინა.

XIX საუკუნის შუა ხანებისთვის ქალაქის ადგილმდებარეობის შესაძლო ვარიანტად განიხილებოდა ჰისარლიყის ბორცვი (თურქეთში), მაგრამ არ არსებობდა ხელჩასაჭიდი საბუთი იმის დასამტკიცებლად, რომ ზუსტ ადგილს მიაკვლიეს. 1871 წელს გერმანელმა მეწარმემ და მოყვარულმა არქეოლოგმა ჰაინრიხ შლიმანმა (1822-1890 წწ.) ჰისარლიყის ბორცვის გათხრა დაიწყო.



ჰომეროსის დიდი თაყვანისმცემელი შლიმანი, გარდა იმისა, რომ არქეოლოგიით იყო დაინტერესებული, მილიონერიც გახლდათ.

ბევრ რამეს, რაც მისი ვარაუდით, ტროას ომს არ უკავშირდებოდა, ყოფილი დიდვაჭარი უარყოფდა. ამიტომ მან მოპოვებულ მასალათა უმრავლესობა დაუდევრად გაანადგურა და კულტურული ფენებიც ძალიან დააზიანა. შლიმანს აღმოჩენების თაობაზე ბევრ სიცრუესაც სწამებდნენ და როგორც ამბობდნენ, უკანონოდ, მალულად გაჰქონდა ქვეყნიდან გათხრებისას ნაპოვნი ძვირფასი ნივთები. თუმცა მან მართლაც აღმოაჩინა ტროა და ამას ისტორიკოსებიც ადასტურებენ.

სინამდვილეში შლიმანმა იმაზე მეტი გააკეთა, ვიდრე უბრალოდ აღმოჩენა იყო. ჰისარლიყი, როგორც მას თანამედროვე არქეოლოგები უწოდებენ, არის ბორცვი, რომელიც დასახლებათა რამდენიმე ფენისგან შედგებოდა.

შლიმანმა ცხრა ფენა აღმოაჩინა, რომელთაგან ყველაზე ძველი ძვ.წ. 3000 წლით თარიღდება. მეორე ფენაში შლიმანმა ტროას არსებობის ყველაზე მეტი ნივთმტკიცება იპოვა. მათ შორის სკივრი, განუზომელი ღირებულების ოქროს განძეულით, რომელიც მისი აზრით, ტროელთა მეფე პრიამოსს ეკუთვნოდა. მანვე იპოვა იმის მტკიცებულებაც, რომ მეორე ფენასაც იგივე ბედი ეწია, რაც ჰომეროსის ქალაქს, - იგი ერთიანად გაენადგურებინათ. ეს საკმარისი აღმოჩნდა შლიმანისთვის, რათა დაესკვნა, რომ მან სწორედ ტროა აღმოაჩინა.

შემდგომმა გამოკვლევებმა ცხადყო, რომ შლიმანი მართალი გახლდათ, თუმცა ზოგიერთი მნიშვნელოვანი საკითხის დეტალებში ცდებოდა. მეორე ფენა საკმაოდ პატარა იყო, უფრო ადრეულ ხანას განეკუთვნებოდა და საეჭვოა, ის ბერძნების მიერ ალყაში მოქცეული კოშკები ყოფილიყო.

შლიმანის შემდგომი არქეოლოგები ჰომეროსის პოემაში მოხსენიებულ ქალაქად მეშვიდე ფენას მიიჩნევდნენ, რადგან ფიქრობდნენ, რომ მისი ასაკი და ზომა ზუსტად შეესაბამებოდა იმ ეპოქას. თავდაპირველად მის განადგურებას მიწისძვრას მიაწერდნენ, მაგრამ ახლა ფიქრობენ, რომ ეს იმ ძლევამოსილი ლაშქრის ნამოქმედარი იყო, რომელმაც ქალაქი ალყაში მოაქცია.

შლიმანის აღმოჩენა აღიარეს. ცინიკოსები კი ქილიკობდნენ და კითხულობდნენ: თუ ჰისარლიყი ტროა იყო, მაშ სადღა იყო მისი მტრების ნაშთები? არ არსებობდა რამე სამხილი, გარდა ჰომეროსის მონათხრობისა, რომ ხალხი, რომელმაც ტროა დაარბია, ბერძნები იყვნენ. შლიმანმა, ჰომეროსის მონათხრობზე დაყრდნობით, აგამემნონის ქალაქის ადგილმდებარეობის დასადგენად გათხრები მიკენში დაიწყო და მიაღწია კიდეც წარმატებას. მან აღმოაჩინა კარგად გამაგრებული ციხესიმაგრე და მდიდრული სამეფო სამარხები. მოყვარული არქეოლოგი დარწმუნებული იყო, რომ ბერძენთა მეფის სასახლე იპოვა. მან სხვა ადგილებიც გათხარა და საფორტიფიკაციო ნაგებობებსა და ნეშტებს მიაგნო. შლიმანის აზრით, ეს სწორედ იმ მეომართა ნეშტები იყო, რომლებიც ხომალდებით მიადგნენ ტროას და ალყაში მოაქციეს. როგორც არქეოლოგები აცხადებენ, იმ დროისთვის გაბატონებული უარყოფითი აზრის მიუხედავად, შლიმანის თეორიები სწორი აღმოჩნდა.

ხმელთაშუა ზღვის რეგიონში წარმართულმა უამრავმა არქეოლოგიურმა გათხრამ ცხადყო, რომ ზღვაოსანი ხალხი საბერძნეთში დაახლოებით ძვ.წ. 1550 წელს გამოჩნდა.

მატერიკის დაპყრობის შემდეგ მიკენელები, როგორც მათ უწოდებდნენ, შეიჭრნენ კრეტაზე და დაეპატრონნენ მინოსის უდიდეს ცივილიზაციას, რომელიც ამ კუნძულზე არსებობდა. დაახლოებით ძვ. წ.1350 წელს მიკენელთა ძალაუფლება განუსაზღვრელად გაიზარდა. ისინი გაცხოველებულ ვაჭრობას მისდევდნენ და ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ რეგიონშიც იჭრებოდნენ.

ეს თარიღები იყო რეალური საფუძველი იმის დასამტკიცებლად, რომ მიკენელები და ჰომეროსის ბერძნები ერთი და იგივე ხალხი იყო. განსაკუთრებით მაშინ, როცა ტროაში მიკენელთა თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები აღმოჩნდა. როგორც ბევრს მიაჩნდა, ამის ყველაზე თვალსაჩინო მტკიცებულებაა თიხის ფირფიტებზე მიკენურ ენაზე შესრულებული წარწერების გაშიფვრა, რომელიც ხაზოვანი დამწერლობა B-ს სახელით არის ცნობილი. ეს კი, ეჭვგარეშეა, ბერძნული ენის ადრეულ ფორმას წარმოადგენდა. ფირფიტები გვამცნობს, რომ მიკენელები მებრძოლი მონათმფლობელები იყვნენ, რომლებსაც სწორედ ისეთივე გემები ჰყავდათ, როგორიც ჰომეროსმა აღწერა. არქეოლოგებმა აღმოაჩინეს აგრეთვე მიკენელთა ბრინჯაოს საჭურველი და ტახის ეშვებისგან დამზადებული მუზარადი. მისი აღწერილობა ზედმიწევნით ემთხვევა "ილიადაში" აღწერილს.

ახლა უფრო ნაკლებად საეჭვო ჩანდა, რომ მიკენელები და ბერძნები ერთი და იგივე ხალხი იყო. მართალია, უამრავი საბუთი არსებობდა ამ მოსაზრების განსამტკიცებლად, მაგრამ ზოგიერთი მეცნიერი ცდილობდა, დაეკნინებინა ჰომეროსის მონათხრობი და აცხადებდა, რომ ის ნაკლებად შეესაბამებოდა რეალურ ამბავს. მადლობა ღმერთს, უამრავი ნივთმტკიცებაა აღმოჩენილი. ისინი, ვისაც ეჭვი ეპარებოდათ, ცდებოდნენ.

გერმანელი არქეოლოგი, დოქტორი მანფრედ ოსმან კორფმანი, რომელიც 1988 წლიდან ინტენსიურ გათხრებს წარმართავდა ტროაში, დარწმუნებულია, რომ მიაკვლია საფუძვლიან მტკიცებულებას - ქალაქი გაცილებით დიდი და მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე ეგონათ. კორფმანის აზრით, ქალაქი, რომლის მოსახლეობა დაახლოებით 10 ათას კაცს შეადგენდა, რაც იმ დროისთვის მართლაც შთამბეჭდავი ციფრი იყო, გვიანი ბრინჯაოს ხანის უმდიდრეს ცენტრს წარმოადგენდა, რისთვისაც ბრძოლა ღირდა. კორფმანის აზრით, ჰომეროსის ეპიკურ პოემებს აქვს, როგორც ის უწოდებს, "ისტორიული ფესვები", თუმცა მისი აღმოჩენები დეტალებში განსხვავდება იმ აღწერილობისგან, რასაც ჰომეროსი იძლევა. მეცნიერი მიუთითებს საფორტიფიკაციო ნაგებობების სიმრავლეზე, რომლებსაც ტროელები ქალაქის სტრატეგიული მნიშვნელობიდან გამომდინარე აგებდნენ, რათა თავიანთ კონტროლქვეშ მოექციათ ეგეოსისა და შავ ზღვებს შორის გამავალი საზღვაო გზები. მეცნიერის აზრით, ტროელებს მრავალი ბრძოლის გადატანამ მოუწიათ და სწორედ ეს ომები დაედო საფუძვლად ჰომეროსის ეპიკურ პოემებს.

ზოგიერთი არქეოლოგი კორფმანის მოსაზრებას სადავოდ მიიჩნევს. ასევე სადავოდ მიაჩნიათ ხეთების კულტურის ცნობილ მკვლევართა, ფრენკ სტარკისა და დევიდ ჰოკინსის დასკვნები, რომლებიც ხეთების იმპერიის სამეფო ციტადელის არქივში ნაპოვნი მასალების საფუძველზე გაკეთდა.

ხეთების სახელმწიფო მნიშვნელოვანი პოლიტიკური ძალა იყო ცენტრალურ ანატოლიაში (თურქეთი). მათ მაღალგანვითარებული ცივილიზაცია შექმნეს და ომის დროს დიპლომატიის გამოყენების ხელოვნებასაც ფლობდნენ. ჩანაწერებში, რომელიც ძვ.წ. XIII საუკუნეს განეკუთვნება, დეტალურად არის ასახული, როგორ საგარეო პოლიტიკას წარმართავდნენ ხეთები მეზობელ ქვეყნებთან.

სტარკისა და ჰოკინსის მტკიცებით, ხეთების იმპერიის ჩრდილოეთ-დასავლეთით, დარდანელის სრუტის შესასვლელში, არსებობდა ეკონომიკურად დამოუკიდებელი სახელმწიფო ვილუსა (ჭილუსა). თუ ამ სახელს წინა ჭ-ს ჩამოვაცილებთ (ბერძნები ამ ასოს არ იყენებდნენ), მაშინ ილუსა ძალიან წააგავს ილუმს, იმავე ილიონს. ამ სახელითაც მოიხსენიებს ხოლმე ჰომეროსი ტროას. ხეთებმა იცოდნენ, რომ ვილუსას დასავლეთით ცხოვრობდნენ აქაველები (ასე უწოდებს ჰომეროსი ბერძნებს).

ხეთი იმპერატორები აქაველთა მეფეებს, როგორც თანასწორნი თანასწორებს, ოფიციალურ მიმოწერაში უწოდებდნენ "მეფე ძმას".

სტარკსა და ჰოკინსს თავიანთი მოსაზრებების განსამტკიცებლად მაგალითად მოჰყავთ ხეთების მეფე ხათუსილის წერილი, რომელიც მან აქაველთა მეფეს გაუგზავნა. ხათუსილი ტროას დაცემის პერიოდში მართავდა ხეთების სამეფოს. წერილში აღნიშნულია, რომ ომში, რომელიც ქალაქ ვილუსას გამო წამოიწყეს, შეთანხმებას მივაღწიეთო. ფირფიტებზე გადმოცემული ინფორმაცია მწირია, არაფერია ნახსენები იმის შესახებ, თუ რა იყო ომის დაწყების მიზეზი, რამდენ ხანს გრძელდებოდა კონფლიქტი ან როგორი იყო შეთანხმების პირობები. ხეთური ჩანაწერიდან კარგად ჩანს, რომ ჰომეროსმა მხოლოდ 500 წლის შემდეგ აღწერა ეს ისტორია.

გასაგებია, რომ ბერძნული და ხეთური ვერსიები ზედმიწევნით არ ემთხვევა ერთმანეთს. მიკენელებისთვის ეს დიდი გამარჯვება იყო, ხეთებს სულ კუდით ქვა ასროლინეს და ამიტომაც ამბები უფრო გაზვიადებულია. რაც შეეხება ხეთებს, ტროას ომი მათთვის მხოლოდ გამაღიზიანებელი ეპიზოდი შეიძლებოდა ყოფილიყო და ისიც მარჯვე იმპერიული დიპლომატიის მეშვეობით მოგვარდა.

ცხადია, რომ მართლაც არსებობდა ტროა და ომიც ნამდვილად მოხდა, შესაძლოა, არაერთიც, და მასში ჩართული იყვნენ ძველი ბერძნები. თანამედროვე გეოგრაფიული და გეოლოგიური მონაცემები გვიჩვენებს, რომ ჰომეროსის მიერ აღწერილი ტროა და მისი შემოგარენი ზედმიწევნით ზუსტია. ერთადერთი, რასაც ვერასოდეს გავიგებთ, არის ის, მართლა ათ წელიწადს გრძელდებოდა თუ არა ომი. ნამდვილად იმ მიზეზით დაიწყო ბრძოლა, როგორც ჰომეროსი აღწერს - როცა ღმერთებმა და ქალღმერთებმა სხვადასხვა მხარე დაიჭირეს - თუ ეს იყო ბრძოლა მხოლოდ კომერციული უპირატესობის მოსაპოვებლად.

როგორც ჩანს, ტროას ცხენის არსებობის იდეას მყარი საფუძველი აქვს, რომელიც ახლა ჩვენთვის ცნობილ მიკენელთა სამხედრო ტექნოლოგიის მიხედვით შეიქმნა. ძვ.წ. XIII საუკუნეში ომის დროს უკვე იყენებდნენ ხის საალყო კოშკურებსა და კედლის სანგრევ მორებს (იგივე ტარანი). ჰომეროსის პოეტური ენით გადმოცემულ ამბავში ის, რამაც ტროას კედელი შეანგრია და შიგ შესვლა გააადვილა, თავისუფლად შეიძლებოდა ხის ცხენი ყოფილიყო. ჰომეროსისთვის დამახასიათებელი იყო ამბის შელამაზებით გადმოცემა. ის უფრო პოეტი გახლდათ, ვიდრე ისტორიკოსი. სწორედ მისმა პოემებმა შემოინახა ტროაზე და ტროას ომების შესახებ ამბავი, რომელმაც საუკუნეებს გაუძლო.

---

**ხსოვნა**

## დარეჯან მულიგინაშვილი-გორაშვილი



ო, რა საშინელი ყოფილა უშენობა. ერთ თვეზე მეტი გავიდა მას შემდეგ, რაც ტკივილით და ტანჯვით გათანგულმა მიგვატოვე და მარადიულ სასუფეველში დაიმკვიდრე ბინა. მეუღლის და შვილის სიყვარულმა გვაჯობა, მათთან არჩიე. ყველას დაგვწყვიტე გული. იცი, როგორ გვაკლიხარ და გვენატრები? შენი ტკბილი ხმა და დალოცვა, რომლის გარეშეც არ გვიშვებდი სახლიდან, წესად გვექცა. ჩვენც ასე ვლოცავთ ერთმანეთს, სანატრელო დედავ და ბებიავ.

დრო გავა, მაგრამ შენ მუდამ იქნები ჩვენს გულებში. შენი შვილები, შვილიშვილები და შვილთაშვილები მოგიგონებენ, როგორც უსაყვარლეს დედას, უტკბილეს ბებიას და უსაყვარლეს დას და რძალს.

ორმოცი დღე გასრულდება 17 სექტემბერს შენი გარდაცვალებიდან, წარსდგები უფლის წინაშე და გვჯერა, სასუფეველს დაიმკვიდრებს შენი კეთილი და მოსიყვარულე სული. ჩვენ კი ყოველთვის ვილოცებთ და სანთელ-საკმეველს არ მოგაკლებთ, რათა განისვენო იქ, სადაც მართალნი განისვენებენ.

ამ დღეს ყველა შენი ახლობელი მოვალთ შენს სამუდამო განსასვენებლათ, დაგინთებთ წმინდა სანთელს და მოგიგონებთ ტკივილით და მონატრებით

შენი ოჯახი

---

შვილი თამუნა წივწივაძე, სიძე ილია შარვაძე, შვილიშვილები: ნია, ილია შრვაძეები, მძახალი ნათელა იაკობიშვილი იუწყებიან

დიმიტრი (დიმა) წივწივაძის

გარდაცვალებას. დაიკრძალა 13 სექტემბერს ქ. თბილისში.

# „კარგ პროფესიონალს სამუშაოს შოვნა არ გაუჭირდება“

ერთი შეხედვით ძალიან წყნარი და მოკრძალებულია, მაგრამ საუბარს და მსჯელობას რომ დაიწყებს, მის თვალებში სიმტკიცე, თავდაჯერებულობა და მიზანდასახულობა იკვეთება გონირებასა და განსწავლულობასთან შეზავებული, აი, ისეთი, დღევანდელ ცხოვრებას რომ სჭირდება. შრომისმოყვარეობა და ნიჭიერება გენეტიკურად მოსდევს. მერი ნატროშვილი, იგივე მეკო, როგორც მას შინაურობაში ეძახიან, ბებიის - ქალბატონ მერი ნატროშვილ-ღორაშვილის შვილიშვილი და მოსახელეა. ქალბატონი მერი ათეული წლები ბავშვთა ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკარი გახლდათ და მარავალ თაობას გაუვლია მის ხელში. მამა - გოჩა ნატროშვილი სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკური ფაკულტეტის წარჩინებული კურსდამთავრებულია, დედას - თამარ არაბულს კი აგრარული უნივერსიტეტის ინჟინერ-მელიორატორის სპეციალობა აქვს, თუმცა, ახლა, ჯერ-ჯერობით მაინც, ჩვენთან მელიორატორი არავის სჭირდება – ეს სისტემა, რომელიც ოდესღაც სოფლის მეურნეობის განვითარებაში უდიდეს როლს თამაშობდა, სრულიად დანგრეულია. ჯერ დავანგრიეთ აწყობილი საქმე, ახლა, დღევანდელ მთავრობას მელიორაცია პრიორიტეტად მიაჩნია და მის აღდგენა–განვითარებას გვპირდება, რაც, თავისთავად, მისასალმებელია. მერის ძმა – ლევანი ქ.დედოფლისწყაროს №1 საჯარო სკოლის მეთერთმეტეკლასელია. ეს სკოლა დაამთავრა მერიმაც. დაამთავრა წარმატებულად – ცხრაქულიანი ატესტატი აიღო და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს მიაშურა. ეროვნული გამოცდები წარმატებით გადალახა: – სპეციალობაში 97, ხოლო უნარებში 70 ქულა დაიმსახურა, საბოლოო შედეგებით 2.195 სკალარული ქულით 100%-იანი სახელმწიფო დაფინანსება მოიპოვა და ხელოვნებისა და მეცნიერების ფაკულტეტის სტუდენტი გახდა. მეორე კურსიდან ის სპეციალობას აირჩევს და ეს ინგლისური ენა იქნება.

**– მერიკო, რატომ აირჩიე ეს სპეციალობა, მოდურობის და დასაქმების პერსპექტივით, თუ?**

– არა , ეს არაფერ შუაშია. დეიდაჩემი – თინათინ არაბული საკმაოდ ძლიერი ანგლისტია, მას ხარისხი აქვს და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ლექციებს კითხულობდა. ჩემი ამ ენისადმი ინტერესიც სწორედ აქედან გაჩნდა – მინდა, საფუძვლიანად შევისწავლო და დავეუფლო იმ ენას, რომელზეც დედამიწის მცხოვრებთა თითქმის მესამედი საუბრობს და რომელიც მსოფლიოს ხალხთა კომუნიკაციის საშუალებას წარმოადგენს. რაც შეეხება დასაქმებას, მე ვფიქრობ, თუ შენი საქმის ძლიერი პროფესიონალი ხარ, რა სპეციალობაც გინდა გქონდეს, სამუშაოს შოვნა არ გაგიჭირდება.

**– შენ საჯარო სკოლა დაამთავრე, თუმცა, ერთხანს ფასიან სკოლა “ბენაურშიც” სწავლობდი. რატომ გადახვედი და მერე ისევ რატომ დაბრუნდი, არ მოგეწონა?**

– პირიქით, ძალიან მომეწონა. მე პირველი კლასიდან მეათე კლასამდე საჯარო სკოლაში ვსწავლობდი. ყოველწლიურად ჩემს კლასში 35-40 ბავშვი იჯდა. ეს, რა თქმა უნდა, სწავლების ხარისხს ამცირებდა. პედაგოგებს არც კვალიფიკაციას ვუწუნებ და არც პროფესიონალიზმს, თავისთავად, როცა თვეში მხოლოდ რამდენჯერმე გიწევს გამოკითხვა, პასუხისმგებლობაც ნაკლებია. ფასიან სკოლაში კი მეთერთმეტე კლასში 20 ბავშვი იყო და ორი პარალელური კლასი გაიხსნა. ათ ბავშვში ყოველდღე გვიწევდა გამოკითხვა, მოდუნების და ცუღლუტობის მომენტი გამორიცხული იყო. 50 ლარს ვიხდიდი და ყველა საგანს თანაბარ, მაღალ დონეზე ვსწავლობდი, არავითარი რეპეტიტორი არ მჭირდებოდა. საჯარო სკოლაში იმიტომ დავბრუნდი, რომ ხმა გავრცელდა, სკოლა „ბენაურს” ლიცენზია არ გაუგრძელესო და შეიძლება მისი ატესტატით უმაღლეს სასწავლებელში არ მიიღონო. შეგვეშინდა, წელი არ დაგვეკარგა და თითქმის ყველა გადავედით ამ სკოლიდან. თუმცა, შემდეგ გაირკვა, რომ ეს ჭორი იყო.



**– რეპეტიტორი ახსენე, შენ დაგჭირდა დამატებით მომზადება?**

– დიახ, ქართულ ენაში ერთი წელი და ინგლისურში ნახევარი წელი ვემზადებოდი. მადლობა მინდა ვუთხრა ჩემს პედაგოგებს ნაირა უთრუთაშვილს და მაია ხარაშვილს, იმ ცოდნის მოცემისთვის, რამაც მე ეს წარმატება მომიპოვა. საერთოდ, ძალიან ძლიერი კლასი მყავდა: – სამი ოქროს და ორი ვერცხლის მედალოსანი ოყო ჩემს კლასში. ოთხმა ბავშვმა 100% - იანი დაფინანსება მოვიპოვეთ – მე, მერი ქადაგიძემ, მარი ბოსტოღანაშვილმა და თამუნა სეხნიაშვილმა.

**– მომავალი წლიდან, როგორც ამბობენ, ეროვნული გამოცდები აღარ იქნება, მოსწავლეები უმაღლეს სასწავლებლებში საატესტატო გამოცდების მიხედვით ჩაირიხცხებიან. შენი აზრით, ეს გაამართლებს?**

სხვა საგნებში შეიძლება გაამართლოს მაგრამ ქართულსა და ინგლისურ ენებში მეეჭვება, სკოლის გამოცდაზე ამ საგნებში მხოლოდ გრამატიკის და ლიტერატურის ცოდნა მოგვეთხოვება, ეროვნულ გამოცდაზე კი თემის დაწერა რაც საკმაოდ რთული პროცესია. მას მარტო გრამატიკის და მწერლის შემოქმედების ცოდნა არ შველის, მეტი ერუდიცია, გონებაგახსნილობა და ხედვა სჭირდება. ამიტომ ამ საგნების შეფასება როგორ მოხდება, არ ვიცი, ხომ იცით, ყველა სიახლე რთულად წარმოსადგენია, პრაქტიკულად როგორ გამოვა, საქმე აჩვენებს.

**– ერუდუცია ახსენე, ახლა დიდი “ჭიდილი” მიდის წიგნსა და კომპიუტერს შორის, შენ რომელს აძლევ უპირატესობას?**

– ახლა, ოცდამეერთე საუკუნეში, როცა ტექნიკის ბუმია და სასწაულები ხდება, კომპიუტერის მოხმარების გარეშე, ცხოვრება წარმოუდგენელია, მაგრამ კომპიუტერზე დამოკიდებული არ უნდა გახდე, მისგან ინფორმაციული არსენალი უნდა გაამდიდრო, ერუდიცია კი წიგნს მოაქვს, წიგნი შეუცვლელი სიამოვნებაა. ნურავინ იტყვის, რომ ახალ თაობებს წიგნი არ უყვართო. ჩემი მეგობრებიც ბევრს კითხულობენ და მეც. კომპიუტერის და წიგნის შერწყმა კი იძლევა მაღალ ინტელექტულურ მოქალაქეს, რომელიც ასე სჭირდება დღეს ჩვენს ქვეყანას.

**– რა წაიკითხე ბოლოს და საერთოდ, ვისი შემოქმედება გიტაცებს?**

– ქართული კლასიკოსები, თავისთავად, თუმცა მიხეილ ჯავახიშვილს მათში მაინც გამოვყოფდი. თანამედროვეთაგან გურამ დოჩანაშვილს და ჯემალ ქარჩხიძეს ვანიჭებ უპირატესობას. უმეტესად კი მსოფლიო ლიტერატურას ვეცნობი. ახლა დავამთავრე შტეფან ცვაიგის „უცნობი ქალის წერილი“ და „მოუთმენლობა გულისა“

**– შენ უკვე 18 წლის ხარ და უფლებამოსილი ხარ, შენი მოქალაქეობრივი ვალი მოიხადო, წახვალ არჩევნებზე?**

– ვერა და არა, რადგან 1 ოქტომბერს სწავლა იწყება ჩვენს უნივერსიტეტში. მართალია, უქმედ არის გამოცხადებული, მაგრამ... არას კი ვამბობ იმიტომ, რომ ჯერჯერობით არანაირი საკუთარი აზრი არ მაქვს პოლიტიკაზე. არ ვიცი, ვის მივცე ხმა. მე მათ პლატფორმებს არ ვიცნობ, მთელი წელი ინტენსიურ მეცადინეობას და გამოცდებისათვის მზადებას ვახმარდი მთელ დროს, ტელევიზორს თითქმის ვერ ვუყურებდი, ახლა, გამოცდების შემდეგ, რასაც ვუყურებ, დაბნეული ვარ. ყველა აყვავებულ, გამთლიანებულ, ბედნიერ საქართველოს გვპირდება, მართლა არ ვიცი... ასე ბევრი ჩემი თანატოლი ფიქრობს.

**– მერი, შენ უკვე სრულუფლებიანი მოქალაქე ხარ და ქვეყნის წინაშე ვალდებულებები გაქვს. არჩევნებზე მისვლა და მასში მონაწილეობის მიღება ყველა მოქალაქის ვალია. რაც შეეხება იმას, თუ ვერ გარკვეულხარ, ვის მისცე ხმა, შეგიძლია, არავის არ მისცე ხმა და ყველა გადახაზო, ეს შენი უფლებაა და მოვალეობაც.**

– გმადლობთ კონსულტაციისათვის, ვეცდები.

**– მოდი, ერთ შეკითხვასაც დაგისვამ და დავამთავროთ. როგორ გესახება შენი მომავალი, როგორც ქალს, როდის არის მიზანშეწონილი ოჯახის შექმნა და, საერთოდ რას ფიქრობ სიყვარულზე?**

– სიყვარული ფართო მცნებაა და ის ადამიანთა ურთიერთობისას იბადება. რაც შეეხება ქალის და მამაკაცის სიყვარულს, ერთი ნახვით შეყვარება და ოჯახის შექმნის გადაწყვეტილების მიღება, ჩემთვის მიუღებელიცაა და ფანტაზიის ნაყოფიც. ეს სარომანო თემაა და ცხოვრებაში იშვიათად ამართლებს. არც ნაადრევად ოჯახის შექმნის მომხრე ვარ, რადგან ასეთი ოჯახები ხშირად ინგრევა და ორივე მხარისათვის, მით უმეტეს თუ შვილიც ჰყავთ, ტკივილი მოაქვს. ვფიქრობ, სიყვარული მარტო ლტოლვა არ არის, ის გონების ცხრილში უნდა გატარდეს. გონებაში კი უკვე მომწიფებული უნდა იყოს, თუ რა გინდა. ამაში რომ გაერკვიო, დრო გინდა. ასე რომ, მინიმუმ ოცდახუთი წლის ქვემოთ ოჯახის შექმნა ნაადრევია. ოჯახი დიდი მოვალეობაა და მის შესაქმნელად უნდა მომზადებული იყო როგორც ფიზიკურად, ასევე გონივრულად და ეკონომიურადაც - უნდა გქონდეს შენი შემოსავალი, შენი ხედვა, პრინციპები... მიყვარს, მორჩა და გათავდაო – არასერიოზულია, უნდა ერკვეოდე, რატომ გიყვარს, როგორი ხასიათი და თვისებები აქვს, შეძლებ მასთან თანაცხოვრებას თუ არა. რა ვიცი, თეორიულად ასე ვფიქრობ, პრაქტიკულად ჯერ სიყვარული არ მწვევია..

**– წარმატებებს გისურვებ ცხოვრებაში, სულ მუდამ სწორი გზით გევლოს, შენ და შენს ტოლებს კი სტუდენტობას გილოცავთ. ეს ხომ ულამაზესი და განუმეორებელი ხანაა ადამიანის ცხოვრებაში.**

ნაირა გორაშვილი


## ულოცავენ!

### მანანა ჭილიტაშვილს!

არბოშიკის საჯარო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი დაბადების დღეს ულოცავს ქალბატონ მანანა ჭილიტაშვილს, უსურვებს მას ჯანმრთელობას, წარმატებებს პირად და საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

### სალომე ნატროშვილს!

ჩემო საყვარელო, გილოცავ თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის წარჩინებით დამთავრებას, მაგისტრატურაში ჩაბარებას და სამსახურის დაწყებას. დაე, შენი ცხოვრება სულ ასეთი წარმატებული ყოფილიყოს!

ბებია შორენა მამულაშვილი

## იყიდება!

ვყიდი ოთხოთახიან ბინას ლოჯიით ქ. დედოფლისწყაროში, ჰერეთის (ყოფილი სტალინის) ქუჩა №2ა, კორპუსი 11, ბინა №11, IV სართული. ბინა გარემონტებულია, აბაზანა და სამზარეულო მეტლახ-კაფელით და დუშკაბინითაა გაწყობილი, აქვს პატარა სარდაფი და ეზო ავტოფარეხის ასაშენებლად. მსურველები გამომეხმაურეთ ტელ: 558 24 14 65, გიორგი.


## ამინდი დედოფლისწყარო

| შაბათი 15.09 | კვირა 16.09 | ორშაბათი 17.09 | სამშაბათი 18.09 | ოთხშაბათი 19.09 | ხუთშაბათი 20.09 | პარასკევი 21.09 |
|---|---|---|---|---|---|---|
| დღე ღამე | დღე ღამე | დღე ღამე | დღე ღამე | დღე ღამე | დღე ღამე | დღე ღამე |
| 20 ° 14 ° | 20 ° 16 ° | 19 ° 17 ° | 20 ° 16 ° | 18 ° 15 ° | 17 ° 15 ° | 16 ° 15 ° |


გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი
რედაქტორი ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ლალი მეხრიშვილი, ილია მარტყოფლიშვილი (კორესპონდენტები); მიხეილ მღებრიშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი); ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ქენქაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუწაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
დაიბეჭდა შ.პ.ს „საარის“ სტამბაში

რედაქციის მისამართი: ქ. დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
ტელ. 0 356 22 55-49;
598 72-18-72 (დირექტორი)
599 25-17-44 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.


C M Y K